The point is that the reader does not expect from a hero of courtly literature such behaviour in an analogous situation. Obviously, it is hard to find an exact analogue and all characters of this literature do not act in the same way in the same situation. However, the typical image of the European chivalrous romance is perceived in a somewhat different model.

Lancelot is a typical hero of courtly literature. He is selflessly in love with his king's consort Guinevere. The knight is ready to rescue his beloved from any trial, but also to fulfill all her wishes and demands – even such that harm his reputation of a knight, viz. not to joust full-heartedly and to give his opponents a chance to succeed; or to get on to a humiliating ox-cart, driven by a dwarf, in order to reach quickly the place of the captive queen. At this point we are primarily interested in Lancelot's amorous adventures. On his way to rescue his captive lady and beloved Guinevere, Lancelot comes up to a wondrous or magic palace to spend the night there. The owner of the palace is a young woman who agrees to host the knight under condition that he sleeps with her. Lancelot rejects the proposal categorically, yet he is forced to stay in the palace of the unknown hostess. The woman treats the knight to a capital supper, then rescues him from an attack by the knight guarding the palace and his attendants; she enters the sleeping-room, lies down and waits for Lancelot to enter; the latter comes in and lies down next to the shameless lady; however, he neither turns towards her nor utters a word; after a long wait the woman leaves the knight, goes to her room and falls into deep sleep.

From this point of view, of Lancelot's numerous adventures one belonging to the cycle of continuation of Chretien de Troyes' "Lancelot ou le chevalier de la charrete" is more interesting to the present subject. The 15<sup>th</sup> century English writer Thomas Malory claims to have culled the stories of King Arthur, the Holy Graal, Sir Lancelot and Queen Guinevere from ancient French books, conveying them to us in his ro

mance "Le Morte d'Arthur". Malory narrates in detail the wonderful story of one fair maid from Astolat who falls in love with Lancelot.<sup>1</sup>

King Arthur appointed a grand tournament far from his palace at Winchester. Lancelot refused to take part in the tournament, for he still suffered from the wounds received in a previous combat. Queen Guinevere, too, refused to attend the tournament. But she rebuked Lancelot for his staying in the palace, as evil tongues would put an evil construction on both of them keeping away from the king. Lancelot promised the queen to go to Winchester, but would fight under the guise of an unknown knight against King Arthur's knights. On his way incognito to the tournament, Lancelot spent the night in the fortress of the old baron Barnard of Astolat. The host failed to recognize his guest. Nor did Lancelot disclose his identity to the old baron. Moreover, he asked for the baron's shield, explaining to him that he wished to joust incognito. The host lent Lancelot the shield of his elder son and sent his younger son, to whom Lancelot took a liking, as his attendant. The old baron's beautiful daughter Elaine was charmed by the appearance and conduct of Lancelot. She served the guest with great love, asking him to fight at the tournament under her sleeve as a token. Lancelot, who had never fought under the token of any woman, accepted from the girl a sleeve of red cloth with a large pearl, as under this sign he would remain unknown to King Arthur's knight. The knight worked wonders at the tournament but was wounded gravely. Lancelot and his attendant found shelter in a hermit's house in a dense forest. When the virgin Elaine learnt at her home of the Lancelot's heroism and of his being gravely wounded, she declared her love for the knight for everyone to hear and, setting out in search of him, she found the hermit's house with her brother's help. In Malory's words: "So this maiden Elaine never went from Sir. Launcelot, but watched him day and night, and did such attendance on him, that the French book saith there was never woman did more kindlier for man than she"(pp. 296-297). Elaine never left Lancelot for several months, until he recuperated. Then the brother and sister, together with the knight, went to Astolat to their old father. Here, in the presence of her father and brothers, Elaine asked Lancelot to marry her. The latter thanked the virgin for such ardent love, adding: "I cast me never to be wedded man. Then, fair knight, said she, will ye

<sup>1</sup> See: Sir. Thomas Malory, *Le Morte d'Arthur*, v. 2, London (Everyman's Library), 1964, pp. 284-306.

be my paramour? Jesu defend me, said Sir Lancelot, for than I rewarded your father and your brother full evil for their great goodness"(p. 302). Lancelot promised the desperate girl to be her faithful knight until death. He added that he would apportion a generous monetary gift annually for her, for her future spouse as well as their posterity. The fainted Elaine was taken into the next room by her maids. The life of the virgin in love ended tragically. She ceased to eat, drink and sleep, but did not stop thinking of Lancelot. Before her death she explained to her old father: "... My belief is I do none offence though I love an earthly man; and I take God to my record I loved never none but Sir Launcelot du Lake, nor never shall, and a clene maiden I am for him and for all other: and sithen it is the sufferance of God that I shall die for the Love of so noble a knight, I beseech the High Father of Heaevn to have mercy upon my soul..." (pp. 303-304). Elaine died soon after. Her father and brothers fulfilled her last wish. Her lavishly attired corpse, holding in her hand the letter dictated by herself, was placed in a boat and the boatman rowed down the Thames, to King Arthur's Palace at Westminster. The last farewell letter of the Astolat beauty was read to Lancelot in the presence of the king, the queen and the knights of the Round Table.

Lancelot does not respond to the love of any other woman, for he obeys the laws of courtly love. Uncompromising loyalty to one's love and to the queen is the basic demand of this love. Guinevere reacts bitterly to every detail in the manifestation of Lancelot's devotion to her: she chides her love even for his momentary vacillation in getting into the humiliating coach; she does not want to pardon his participation in the tournament with the sleeve of an unknown woman. However, Guinevere's caprices are invariably devoid of real ground. Lancelot does not betray his love. He is an ideal image of a courtly love.

Can Avtandil's conduct be assessed from the position of the same, courtly love? I am inclined to answer this question in the negative. The matter is that the *MPS* is not a courtly romance. Its relation to European courtly literature remains within general typological boundaries, which should be accounted for by the overall spirit of the times. Partly, however, by the relation of 12<sup>th</sup>-century European romance as well as, and predominantly, by the relation of the *MPS* to the Persian epic, in particular to the *Vis u Ramin*. Yet, the difference between them is substantial, which is primarily due to the differing national character

and native literary roots. Chrétien de Troyes and Rustaveli have different literary sources for both the love plot and individual details of the subject. In this respect, whereas the *MPS* is basically related to the oriental epic (*Ramayana*, *Vis u Ramin*, *Leyle wa Majnun*, etc.), and partly to the ancient Greek epic<sup>1</sup>, Chrétien de Troyes is based on Classical Latin literature (Ovid's *Metamorphoses*, *Art of Love*, *Fastes*, Apuleus' *Golden Mule*, Petronius' *Satiricon*, Boethius' *Consolation through Philosophy*, etc).<sup>2</sup> The model of love intrigue differs also in medieval European literature and in its Georgian counterpart of the same period. In particular, old Georgian literature is not familiar with the triangular model of love, which is crucial in the European courtly romance (Tristan, Isolde, King Mark; Lancelot, Guinevere, King Arthur).

Hence, it should be presumed from the beginning that the interpretation of the essence of love must differ absolutely in the *MPS* and the European courtly romance. Indeed, the idea of Rustaveli's characters on the betrayal of one's love does not coincide with Lancelot's stand. Thus, Tariel, boundlessly in love with Nestan, does not reject a woman (Asmat) that has come to him for love (stanzas 362-378).

At the same time, Tariel never thinks that he will betray genuine love through a liaison with Asmat. This model, too, stems from the classic Persian epic. Ramin, fallen madly in love with Vis, paves his way to his love through a liaison with Vis' nurse. But it never occurs to him that by this he may be betraying his love. Roots of the same model may be sought in Homer too: on his way home from the Trojan war Odysseus is forced to get entangled in several love intrigues, yet he returns home to his wife Penelope as an adoring husband. In this interpretation of love sleeping with another woman is not taken to be a betrayal of love. Nor did Nestan question Tariel's loyalty when he first agreed and then went to the rendezvous with Asmat. According to this model of love, love is a different thing and sleeping with another woman does not compromise loyalty to one's love.

Neither does Avtandil seem to perceive his liaison with Patman as betrayal of Tinatin. Lying beside Patman, Avtandil always remem-

<sup>1</sup> see Z. Khintibidze, *Compositional parallelism in Homer's epic and Rustaveli's The Man in the Panther's Skin*. Mtsignobari, Tbilisi, 2000, pp. 172-182 (in Georgian).

<sup>2</sup> Foster Erwin Guger, *Chretien de Troyes: Inventor of the Modern Novel*. Bookman Associates: New York, pp. 79-110.

bers Tinatin with sighs, but he does not consider his conduct a betrayal of his love. He finds lying with Patman difficult and while embracing her, he thinks of and weeps for Tinatin; yet he does not see betrayal of Tinatin in his behaviour. There is one conclusion: Avtandil's love differs from that of Lancelot. Moreover, Avtandil does not remain within the frame of courtly love. His love for his lady is uncompromising but this love fails to set norms of conduct for him. His behaviour is free; as a person, he is not restricted by not only courtly but generally, by norms of love. He follows the demand of love when this is dictated to him by his personal will. In other cases he sets his personal will higher than the demand of love. Rustaveli consistently brings out Avtandil's rising above both courtly love norms and in general over the will of love. This is seen not only in Patman's episode.

Thus; Avtandil's departure in search of the stranger knight is determined by the norms of courtly love, as shown clearly by Tinatin's words:

"This service of mine which I bid thee do befits thee for these two reasons: First, thou art a knight, among all flesh there is none like unto thee; secondly, thou art in love with me, this is true and no slander. Go, seek that brother-in-arms, be he near or far."(129)

But Avtandil's second departure to meet Tariel and his decision to go in search of Nestan does not fit in the structure of courtly love. True, this resolve of Avtandil does not run counter to Tinatin's wish; she too assesses the situation from high human ideals:

"Thou dost well not to break the oath thou didst swear; it is necessary to fulfil strong love for a friend, to seek for his cure, to know the unknown."(688)

However, Avtandil had decided to dedicate himself to Tariel's service and search for Nestan before receiving an assent from his love Tinatin and the king. Did not Avtandil swear to his friend on the mysterious night when he heard Tariel's secret?

"I shall assure thee by an oath that for nought shall I forsake thee; I shall come again to see thee, I shall die for thee, for thee shall I rove. If God will, I shall make thee cease to weep thus for her for whom thou diest!"(647)

This rise of Avtandil from a knight loyal to courtly love to a free-lance loyal to high human ideals leads him to considerable inner pain. He must rise above the will of his own love. He manages to renounce this love, leave his love-queen and serve a high human ideal towards which his personal will strives. Rustaveli repeatedly reverts to the battle in Avtandil's mind between the will of love and the person's human duty. Avtandil – parted from his love for an indefinite time – embraces the pearls presented to him by "his sun", wetting them with his tears and gradually breaking a long love's rope:

"Thus speaking, the tears gush forth, he trembles and shudders; with heart-sigh, with deep groan, his form bends and sways (as he goes). Converse with the beloved is embittered by parting".(698)

To allow him to break the rope of love and free himself of it, Rustaveli sometimes makes Avtandil halt, even turning him back. Then again the poet brings him to his senses and sends him on to fulfil his high human mission, this continuing continuously.<sup>1</sup>

"Now will I begin the story of that knight's departure. He goes away and weeps with boiling heart; it cannot be said that his tears diminished. Every moment he turned back; he prayed that he might find his sun-like one in sun-like beauty. He gazed, he could not detach his eyes; If he tore them away he lost consciousness".(812)

"When he was near fainting, he had no power to move his tongue, but tears run from his eyes, pouring forth as from a spring. Sometimes he turns; he looks for means (aid) to bear his pains. When he goes forward he knows not whither his horse has borne him".(813).

Thus, Avtandil rises above the will not only of courtly love but of love in general, subjecting his conduct to the demands of the highly human ideal of his own personality. It is clear what this highly human ideal pursued by Avtandil in the above-discussed case is. Avtandil does not leave a person in trouble: his friend knight in love.<sup>2</sup> The question arises as to what determines Avtandil's conduct in the episode with Patman? What ideal does he follow when he sleeps with Patman against

<sup>1</sup> E. Khintibidze, *Medieval and Renaissance Trends in The Man in the Panther's Skin*, Tb. 1993, pp. 126-127 (in Georgian).

<sup>2</sup> *Ibid.*, pp.139-146.

his desire? Of course, as argued above, Avtandil's behaviour in this episode is due to his desire to gain detailed information about Gulansharo – in particular, Patman's secret. He himself indicates this (stanza 1071). This is one reason of Avtandil's action in Gulansharo. But this is not the determining cause for Rustaveli to create such an image of Avtandil as a character. Beynen is right in suggesting that Rustaveli could have built the subject differently, i.e. Avtandil could have learnt Nestan's story at the market-place of Gulansharo, as Patman had.

Avtandil's conduct in Patman's amorous episode, too, is due to his striving towards high human ideals. He sympathises with Patman as a human being. All through this amorous intrigue Rustaveli points only to Avtandil's sympathy (feeling) for Patman. He leaves Patman in Gulansharo with the same sentiment rather than with a feeling of love or hatred for her. ("But to leave the woeful-hearted P'hatman was a heaviness to him" – 1301). Patman deserved this sympathy both by her goodness (her attitude to Nestan) and her love for Avtandil. This is Patman's notion of love (and of course it is not Rustaveli's purpose to attempt to transform Patman into a genuine lover). She received a response to her love from Avtandil, hence by Avtandil's departure she does not remain a deserted, hopeless, etc. lover. Another reason for this is again Patman's kindness: she understood Avtandil as a lover. After learning the secret of his love, Patman did not try to continue her liaison.

To revert to Avtandil. What is Avtandil's relationship with Patman? Is it a decline of his personality (as Beynen believes)? In my opinion, Avtandil's behaviour at Gulansharo raises his personality further. Avtandil rose above his personal will and desire as well. He did what he did not want to do but which was demanded by high human duty. Avtandil's conduct in this episode, too, is in accord with his own credo – with his only request to God for the perfection of his person: "Give me to endure longings, O ruler of heart-utterances!" (790); and with the basic principle of action unequivocally set out during his second visit to Tariel: "Do that thou desirest not, follow not the will of desires"(860). This also points out clearly that in the amorous episode with Patman Avtandil does not do what pleases him and, at the same time, that his behaviour is not a senseless decline. He does what he is not willing to do but what is dictated to him by a high human ideal.

Whereas after meeting Tariel, Avtandil rose from the service of his love to that of his friend without renouncing the love of his lady, in Patman's episode he rose generally to the service of the ideal of loving one's neighbour. But he does this without compromising the love of his lady and of his friend. The path from the love of one's lady to that of a friend, and then, in general, to the love of man or friend - neighbour is one of rise.

My solution of the problem stands in need of further clarification. How should one account for Avtandil's sympathy for Patman? What place will Avtandil's conduct gain for him as a character in the process of European civilization? His behaviour imparts to his image as a literary character a Renaissance trait.

In Avtandil's literary image Rustaveli placed interest in man higher than the norm of love (of both courtly and free human sentiment). More precisely, in the *MPS* the will and desire of love is subject to or is determined by a high human ideal and its dictates. This makes Tinatin say: "Thou dost well not break the oath...". This appeases Patman's amorous desire. Avtandil did not desert Patman, for she is a human being, a *neighbour*. He understood Patman and sympathized with her. Avtandil shared Patman's concern (her hysterical fear of Chachnagir) and her joy (her love of Avtandil). Avtandil did not drop but healed his sick neighbour (friend), for as a human, she deserved it. This conduct of Avtandil is not divorced from Rustaveli's general conception of humaneness. On the contrary, he considers sympathy and kind-heartedness to be man's indispensable quality. This is seen not only in the devotion and assistance rendered by Avtandil to Tariel and Tariel to Pridon. These actions rest on other, more substantial foundations.<sup>1</sup> Rustaveli gives a verbal formulation of his point of view through Asmat's words: "A man deprived of heart cannot play the man; he is chased forth from men"(828).

Furthermore, the same conception is given a more harmonious expression in the cycle of Gulansharo events: Patman has nothing against the appearance of her lover (Chachnagir), but she finds fault in her husband: "I am not content with my husband, for he is lean and ill-favoured"(1183). Chachnagir is a fairly handsome man ("A certain elegant youth of graceful mien appeared standing in the doorway" - 1077).

<sup>1</sup> Ibid pp. 129-166.

But Patman is oppressed by Chachnagir's lack of human sympathy and kindheartedness; he is heartless, wrath drives him to evil conduct ("In his wrath he would have denounced me, his heart was burned as with fire" - 1187). Chachnagir terrorizes Patman with the threat of divulging her secret ("Whenever we quarreled alone he menaced me" - 1185). This is a sufficient motive for the knight to save the scared woman by putting the cruel oppressor out. That is why Rustaveli leaves Patman's thanks to Avtandil without comments:

"God reward thee in return - what thanks can I render thee! thee who hast delivered me safe from that serpent's gaze!"(1188).

More important is that in the finale of this episode Rustaveli formulates his conception of human sympathy aphoristically: "Timidity slurs a man..."(1182).

Human compassion - the capacity to share human predicament, as moral perfection may be seen in one epithet used by Rustaveli in reference to Avtandil. On Avtandil's consent to kill Chachnagir at Patman's request Rustaveli used the epithet *buneba-ziari* ("gifted with bold resolve" - in M. Wardrop's translation) in reference to Avtandil, the epithet used only once in the *MPS*:

"When Avt'handil, the proud, gifted with bold resolve, heard this, he arose and took a mace - how fair, how bold is he!"

Commentaries on this term in the *MPS* show that it must be indicative of human magnanimity.<sup>1</sup> Its meaning is amenable to a more concrete interpretation: it may be indicative of sharing the nature of a neighbor as a human being.<sup>2</sup> At any rate, in defining the theological thesis of love of one's neighbour the saintly Father Basil the Great points out clearly that there is nothing more characteristic of our nature than sharing with each other: and in the Old-Georgian 11<sup>th</sup>-century translation this view of St. Basil the Great is conveyed with the word *buneba-ziari* of the *MPS*: *bunebisa chuenisa ziarebai* ("shearing with our nature").<sup>3</sup>

<sup>1</sup> E. Khintibidze, *The Weltanschauung Problems in The Man in the Panther's Skin*, Tbilisi, 1975, pp. 162-167 (in Georgian).

<sup>2</sup> See M. Robakidze, *Towards the interpretation of some terms of The Man in the Panther's Skin*. - Proceedings of TSU, Literary criticism (in print).

<sup>3</sup> Basil the Great, *On the love of one's neighbour*. See E. Khintibidze, *The Medieval and the Renaissance in The Man in the Panther's Skin*, pp. 141.

Assignment of such an essential place to human compassion, as moral perfection in Avtandil as a literary character points to the Renaissance nature of the hero. With Avtandil care for man, sharing his fate, compassion for him stand higher than the norms of chivalrous ethics, and even higher than the demands of love - the highest personal sentiment. Avtandil's conduct in the case of Patman is determined by the moral demand of human compassion rather than chivalrous ethic or an amorous obligation and norm. Furthermore, Avtandil's action is not motivated by a dictate of medieval moral: fear or hope of the future. A Renaissance ideal is perceivable in Avtandil's action. At the same time, this Renaissance feature in his action emerges along with the preservation and development of the medieval ideal. Human sympathy, displayed in Avtandil's relationship with Patman, is based on the Christian thesis of love of one's neighbour: "Thou shalt love thy neighbour as thyself" (*King James Version*); "Love your neighbour as you love yourself" (*The New English Bible*) (Math. 22,39). His conduct is a Renaissance interpretation of this thesis - manifested in him by sympathy for a human being and respect for all its character (expressed not only by love imitative of divine love but by sympathy in human love; not yielding to the opponent but by taking revenge on his adversary). Thus, in the image of Avtandil as a literary character the medieval ideal of the love of one's friend (neighbour) is brought into harmony with the Renaissance ideal.

The episode of the liaison with Patman points to the Renaissance nature of Avtandil as a literary character. On the other hand, even in this episode Avtandil is not a typical Renaissance character. His difference from Boccaccio's characters lies in his link with the medieval outlook. Avtandil does not enjoy his sleeping with Patman ("The knight unwillingly embraces... - 1230); "That night P'hatman enjoyed lying with Avt'andil" - 1230) - , rather than Avtandil. He did not open his heart for Patman's love, for he thought only of Tinatin and wept. He did not betray his love-sovereign, thus preserving the fidelity of medieval love. This, too, is a harmony of the medieval and the Renaissance.

Elguja Khintibidze

#### IV საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმი

ამა წლის 21-დან 25 მაისამდე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უმასპინძლა მარი ბროსეს დაბადებიდან 200 წლისთავისადმი მიძღვნილ კავკასიოლოგთა საერთაშორისო კონფერენციას თემაზე: ინტეგრაციისა და დეზინტეგრაციის პროცესები კავკასიაში (ისტორია, თანამედროვეობა, პერსპექტივა), რომლის ფარგლებშიც მინიმდინარეობდა ქართველოლოგთა IV საერთაშორისო სიმპოზიუმის მუშაობა.

21 მაისს თსუ სხდომათა დარბაზში კონფერენცია საზეიმოდ გაიხსნა. სიმპოზიუმის და კონფერენციის მონაწილეებს მისასალმებელი წერილები გამოუგზავნეს საქართველოს პრეზიდენტმა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ და სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ. თავის შესავალ სიტყვაში უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა ხაზი გაუსვა კავკასიის რეგიონის და იქ მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური თუ კულტურული პროცესების მნიშვნელობას მსოფლიო ინტეგრაციისათვის, რაც უდავოდ მეტად აქტუალურს ხდის ამგვარი კონფერენციების ჩატარებას.

ამავე პლენარულ სხდომას ქართველოლოგიური სკოლის ცენტრის დირექტორმა, პროფესორმა ელგუჯა ხინთიბიძემ მოახსენა ქართველოლოგიური სკოლის ცენტრის გადაწყვეტილება უცხოელი ქართველოლოგის, ბერნარ უტიესათვის ქართველოლოგიური სკოლის ცენტრის მიერ დაარსებული მარი ბროსეს სახელობის პრემიის, ხოლო გერმანელი ქართველოლოგის ვინფრიდ ბოედერისთვის მარჯორი უორდროპის სახელობის პრემიის მინიჭების შესახებ. უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა შეასრულა საპატიო მისია და სიმპოზიუმის მონაწილე ფრანგ მეცნიერს ბერნარ უტიეს გადასცა მარი ბროსეს სახელობის პრემია.

კონფერენციის მუშაობა 3 სექციაში მიმდინარეობდა: 1. კავკასიოლოგია; 2. მარი ბროსე და 3. ქართველოლოგია.

უნდა აღინიშნოს, რომ როგორც, საერთოდ, კონფერენციის, ისე IV ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მიმართ დაინტერესება გამოიჩინა არა მარტო ქართველმა, არამედ არაერთმა უცხოელმა მკვლევარმაც (ახლო თუ შორეული საზღვარგარეთის ქვეყებიდან). მათ მიერ წარმოდგენილი მოხსენებები მრავალფეროვანი და მრავალმხრივი იყო როგორც თემატიკის, ასევე საკვლევი საკითხისადმი მიდგომის თვალსაზრისითაც. ზემოთქმულის საილუსტრაციოდ თუნდაც ქართველოლოგიის პრობლემებისადმი მიძღვნილი ნაშრომების ჩამოთვლაც იკმარებს, რომლებიც შესაძლოა გარკვეულ ქვეჯგუფებადაც დალაგდეს:

#### მარი ბროსესადმი მიძღვნილი ნაშრომები

1. მარიამ ლორთქიფანიძე (თბილისი) – ბროსე და „ქართლის ცხოვრება“.
2. ედიშერ ხოშტარია-ბროსე (თბილისი) – მარი ბროსე და ქართული საზოგადოებრიობა.
3. გურამ შარაძე (თბილისი) – მარი ბროსეს ცხოვრება და მოღვაწეობა.
4. გიორგი ოთხმეზური (თბილისი) – მარი ბროსე და ქართული ეპიგრაფიკა.
5. ნელი იოსავა (თბილისი) – მარი ბროსე და ქართული გრამატიკის საკითხები.

#### ქართული და ქართველური ენების საკითხები

1. ზურაბ ჭუმბურიძე (თბილისი) – სვანური საეკლესიო ტერმინოლოგიის შესწავლისათვის.
2. ელენე ბაბუნაშვილი, თედო უთურგაიძე (თბილისი) – ანტონ პირველი-ქართული გრამატიკული აზრის მამამთავარი.
3. იასუპირო კოჯიმა (ტოკიო) – ნათესაობითში დასმული დამატება ზოგ ინვერსიულ ზმნასთან ქართულში.
4. მზექალა შანიძე (თბილისი) – ძველი ქართული ბიბლიური ტექსტები (მათი შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა).
5. ვიმ ლუკასენი (ამსტერდამი) – ვიტსენის დანიურ-ქართულ

სიტყვათა ნუსხა Noord en Oost Tartarien-Si (Amsterdam 1705, pp506-514), აღჭურვილი ქართული, ინგლისური და რუსული ეკვივალენტებით.

#### საქართველოს ისტორიის საკითხები

1. თამაზ გამყრელიძე (თბილისი) – ქრისტიანობა და ძველი ქართული კულტურა.
2. დავით მუსხელიშვილი (თბილისი) – საქართველო ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე.
3. გრიგოლ გიორგაძე (თბილისი) – სოციალური ტერმინები არმაზის მონოლინგუასა და ბილინგუაში („პიტიასში“, „ეზოსმოდღვარი“).
4. სტივენ რაპი (ატლანტა, აშშ) – კავკასიის ადგილი ევრაზიულ სამყაროში: „ცხოვრებაი ქართველთა მეფეთას“ ცნობები.

#### ქართული ლიტერატურის საკითხები

1. ბერნარ უტიე (პარიზი) – თეიმურაზ ბაგრატიონის ორი უცნობი ხელნაწერი.
2. ნესტან სულავა (თბილისი) – სამყაროს მშვენიერების რენესანსული გააზრება „ვეფხისტყაოსანში“.
3. პარუირ მურადიანი (ერევანი) – „გულანდუხტის წამების“ ქართული კიმენური რედაქციის არმენოლოგიური მნიშვნელობა.
4. მიშელ ვან ესბროკი (მიუნხენი) – რას წარმოადგენდა თავდაპირველად ძველ ქართულ ლიტურგიკულ წყაროებში მოხსენიებული ვარდობის დღესასწაული.
5. ელგუჯა ხინთიბიძე (თბილისი) – დღემდე უცნობი ძველი ქართული ხელნაწერები ივირონის წიგნთსაცავში.
6. ალექსანდრე გვახარია (თბილისი) – ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიის ძირითადი ეტაპები და მათი შესწავლის მდგომარეობა.
7. გაგა შურღაია (რომი) – ესქატოლოგიური წარმოდგენები ძველი ქართული და ბიზანტიური წყაროების მიხედვით.

8. გუჩა კვარაცხელია (თბილისი) – ვაჟა-ფშაველა ახალი პოეზიის სათავეებთან.

9. თენგიზ კიკაჩიშვილი (თბილისი) – თავისუფლებისათვის ბრძოლის ილიასეული კონცეფცია.

10. რევაზ მიშველაძე (თბილისი) – XX საუკუნის უკანასკნელი ათწლეული და ქართული მწერლობა.

11. ზურაბ კიკნაძე (თბილისი) – ზღვა და ხმელეთი ქართულ მითოსში.

12. ამირან გომართელი (თბილისი) – საღვთო ტრფიალების პარადიგმა გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში.

13. დოდონა კიზირია (ბლუმინგტონი, აშშ) – თბილისის ქუჩების სახელწოდებები და ქართული ლიტერატურა.

14. რაჩია ბაირამიანი (ერევანი) – ე. ჩარენცი და ტ. ტაბიძე – დიდი მწერლების მეგობრობა კულტურათა გაძლიერების მნიშვნელოვანი ფაქტორია.

#### ქართული ხელოვნების საკითხები

1. ლეილა ხუსკივაძე (თბილისი) – ჭედური ხელოვნების განვითარების გზები საქართველოსა და ბიზანტიაში.

2. კიტი მაჩაბელი (თბილისი) – ქართული ქრისტიანული ხელოვნების განვითარების სათავეებთან.

3. ირინა არსენიშვილი (თბილისი) – XX საუკუნის პირველი მეოთხედის ქართული ფერწერული სკოლა რუსული და ევროპული ხელოვნების ფონზე.

აქვე წარმოვადგენთ IV ქართველოლოგიურ სიმპოზიუმზე წაკითხული მოხსენებების რეზიუმეებს (ზოგიერთი მათგანის გარდა).

**მარიამ ლორთქიფანიძე, მარი ბროსე და “ქართლის ცხოვრება”.** მარი ბროსეს მოღვაწეობის წლებში სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებს ხელთ მხოლოდ XVIII-ის

დასაწყისში, მეფე ვახტანგ VI-ის (1703-1724) ე.წ. “სწავლულ კაცთა” მიერ შევსებულ-რედაქტირებული “ქართლის ცხოვრება” მქონდათ, რაც უფლებას აძლევდა ზოგ დაინტერესებულ პირს აღენიშნა, რომ ქართველებს XVIII საუკუნემდე არ მქონდათ მშობლიურ ენაზე დაწერილი საკუთარი ისტორია.

მარი ბროსემ შეისწავლა ეს “ქართლის ცხოვრება” (საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XVII ს-ის ბოლომდე), მართებულად უწოდა მას “ვახტანგის ქრონიკა” და აღნიშნა, რომ ის შედგენილია ძველი ქართული საისტორიო თხზულებების საფუძველზე, რომელთა შორის არსებობდა საისტორიო ნაწარმოები, რომელსაც ეწოდებოდა “ქართლის ცხოვრება”, და აღნიშნა, რომ ეს იყო სხვადასხვა დროს, სხვადასხვა, უმთავრესად მოვლენათა თანამედროვე ავტორთა მიერ, დაწერილ თხზულებათა კრებული, რომლის შევსება-რედაქტირება დროდადრო ხდებოდა. მართალია, ზოგ კონკრეტულ საკითხებზე განსხვავებული მოსაზრებები არსებობს, მაგრამ მთლიანობაში “ქართლის ცხოვრების” შესახებ ასეთივე თვალსაზრისია თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში.

არსებობს “ქართლის ცხოვრების” შესწავლის, შევსება-რედაქტირების ვახტანგისეული ეტაპი (იქნებ უფრო აღრინდელიც?) და ბროსესეული ეტაპი.

**გიორგი ოთხმეზური, მარი ბროსე და ქართული ეპიგრაფიკა.** მარი ბროსეს სახელთანაა დაკავშირებული ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების მეცნიერული შესწავლისა და პუბლიკაციის დაწყება.

მ. ბროსეს მრავალრიცხოვან ნაშრომებში აისახა დიდძალი ქართული ეპიგრაფიკული მასალა, მოპოვებული როგორც პირადად მის მიერ საქართველოში ყოფნის პერიოდში (1847-1848წწ.), ისე გადაცემული მისთვის მისი კორესპოდენტების მიერ. ნაწილი ამ წარწერებისა დღეს აღარ არსებობს და ბროსესეულმა პუბლიკაციებმა დედნის მნიშვნელობა შეიძინეს.

აღსანიშნავია მ. ბროსეს ორი წერილი იმდროინდელ პერიოდულ პრესაში – ჟურნალ “Кавказский Календарь” - ში (1848წ.) და გაზეთ «Кавказ»-ში (1850წ.). აქ წარმოდგენილი ბროსესეული მეთოდები სიძველეების მოსაპოვებელი ექსპედიციების მომზადებისა და მოწყობის, წარწერების ადგილზე გადმოწერის,

შესწავლისა და მულიაჟების დამზადებისა, დღესაც სანიმუშოდ შეიძლება ჩაითვალოს.

მ. ბროსეს მემკვიდრეობა ჯერ კიდევ შესწავლას მოითხოვს. უცნობი ეპიგრაფიკული მასალა შეიძლება აღმოჩნდეს არა მხოლოდ მის არქივში, არამედ კორესპონდენტების არქივებშიც. ამის დამადასტურებელია დ. მელვინეთხუციშვილის არქივში დაცული სოფ. მეტეხის (კასპის რ-ნი) ღვთისმშობლის ეკლესიის გუმბათზე ამოკვეთილი ორი ასომთავრული წარწერის გადმოწერილი ტექსტი. ეს წარწერები და კიდევ ერთი მხედრული წარწერა (რომელიც დ. მელვინეთხუციშვილმა ვერ შეამჩნია) გვაწვდის ცნობას მეტეხის ტაძარში ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების შესახებ ლუარსაბ I-ის (1527-1556წწ.) ზეობის ხანაში და 1687 წელს ნიკოლოზ კათალიკოსის მიერ.

**ნელი იოსავა, მარი ბროსე და ქართული გრამატიკის საკითხები.** ცნობილმა ფრანგმა ქართველოლოგმა მარი ფელისიტე ბროსემ 1834 წელს პარიზში ფრანგულ ენაზე ლითოგრაფიულად დაბეჭდა “ველოვნება აზნაურებითი, გინა ქართულისა ენისა თვთმასწავლებელი”, რომელიც არსებითად ქართული ენის გრამატიკაა. მ. ბროსე ამ წიგნში ითვალისწინებს ანტონ I, მაჯოს და დავით ბატონიშვილის გრამატიკებს და ყველგან მითითებული აქვს, იზიარებს თუ არა მათ შეხედულებებს.

მ. ბროსეს შრომა შედგება წინასიტყვაობის, 17 თავისა და დასკვნისაგან. მ. ბროსე განიხილავს ფონეტიკის, ორთოგრაფიის, მორფოლოგიისა და სინტაქსის საკითხებს.

მ. ბროსემ სცადა ქართული ენის ნათესაობის საკითხი განეხილა არა მხოლოდ სიტყვათა შეპირისპირებით, არამედ გრამატიკულ მოვლენათა ჩვენების მიხედვითაც. მ. ბროსემ ქართული ენა მიაკუთვნა ინდოევროპულ ენათა ინდურ-ირანულ შტოს. ამის საფუძველი მისთვის იყო ლექსიკური მასალა და გრამატიკული მოვლენები (სახელის ფორმები, საკმარ ნაწილი ბრუნებისა, ნაწილობრივ უღვლილება). მ. ბროსემ გამოთქვა მოსაზრება, რომ ენათა შემდგომი შესწავლის პროცესში შეიძლება დასაბუთებული იყოს ქართული ენის კავშირი ინდოევროპული ენების გარდა სხვა ენებთანაც.

მ. ბროსეს “ქართული ენის თვთმასწავლებელი” ჩვენ მიერ თარგმნილია ქართულ ენაზე.

**ზურაბ ჭუმბურიძე, სვანური საეკლესიო ტერმინოლოგიის შესწავლისათვის.** ქრისტიანობასთან დაკავშირებული რელიგიური ტერმინოლოგია სვანურ ენაში საკმარის მრავალრიცხოვანია და მრავალმხრივ საინტერესოა. ამ ტერმინთა მნიშვნელოვანი ნაწილი შექმნილია ქართველურ ენათა წიაღში, ზოგი კი ნასესხებია სხვა ენებიდან. სესხების პროცესში მათ თვალსაჩინო ფონეტიკური და სემანტიკური ცვლილებები განუცდიათ.

იმ საეკლესიო ტერმინებიდან, რომლებსაც ქართველურ ენებში აქვთ ფესვები, აღსანიშნავია: **ღერმეთ/ღერბეთ** (“ღმერთი”), **მაცხუარ** (“მაცხოვარი”), **უიჭმ** (“მარხვა”), **ჭანტი** (“წანდილი”), **ზირაბ** (“ზიარება”), **ანღლაბ** (“ამაღლება”), **აღაბ** (“ყველიერი”) და სხვ.

ზოგიერთი საეკლესიო ტერმინი, რომელიც სვანურში მეგრულიდან არის შესული, განსხვავებულია ქართულისაგან: **თანაფ** (“აღდგომა”) **ტუამა** (“ლოცვა”), **ლაჭუამ** (“ეკლესია”), **ლიჯგრი** (“დალოცვა”), **ჯგჯრაგ** (“წმინდა გიორგი”) და სხვ.

ასევე საყურადღებოა ბერძნულიდან ნასესხები (მეტწილად მეგრულის გზით) ლექსიკური ერთეულები: **ანგულეზ** (“ანგელოზი”), **თარინგზელ** (“მთავარანგელოზი”), **ბაპ** (“მღვდელი”), **დიკუნენ** (“დიაკონი”), **სტარუნ** (“ჯვარი”) **კირუნენ** (“სანთელი”), **პეპი** (“ნათლია”), **გუირკ** (“კვირიკობა”) და ა. შ.

**ელენე ბაბუნაშვილი, თედო უთურგაიძე, მ. ბროსეს მიერ ქართული ენის კვლევა და მისი დამოკიდებულება ამ ენის წინა მკვლევართან.** მე-19 საუკუნის 30-იან წლებში, როდესაც მ. ბროსე ქმნიდა მის ნაშრომებს ქართული ენის გრამატიკული სისტემის შესახებ, უკვე არსებობდა სოლიდური სამეცნიერო ლიტერატურა უცხოურ და ქართულ ენებზე. მ. ბროსე ამ ლიტერატურას კარგად იცნობს და ხშირად უთითებს მათზე. მის ნაშრომებში კარგად ჩანს იტალიელთა ნააზრევი სხვადასხვა კატეგორიებთან დაკავშირებით, როგორცაა ბრუნება, სახელთა სქესი, ზმნათა უღვლილება; ამავე დროს მ. ბროსე ხშირად მიმართავს ანტონ პირველის „ღრამატიკა ქართულის“ პარადიგმებს.

მ. ბროსეს შეაქვს რიგი ცვლილებები ბრუნებაში; არჩევს ძველი ქართულისა და სამეტყველო ქართულის ფორმებს, კარგად ერკვევა სახელთა და ზმნათა მორფოლოგიურ ცვლილებებში.

**იასუპირო კოჯიმა, ნათესაობითში დასმული დამატება ზოგ ინვერსიულ ზმნასთან ქართულში.** ახალ ქართულში ე.წ. "ინვერსიულ ზმნებში" არის ცხრა ზმნა, რომელიც დამატებას მოითხოვს არა სახელობითში, როგორც ჩვეულებრივი ინვერსიული ზმნა (მაგ., მიყვარს იგი, მაქვს წიგნი), არამედ ნათესაობითში (მეშინია ძაღლის, მრცხვენია შენი და ა.შ.) ეს ზმნებია: მეშინია, მრცხვენია, მერიდება, მეხათრება, მესმის, მჯერა, მწამს და მშურს (დიალექტური მეყურება). მათი დამატება მუდამ არ არის ნათესაობითში, ზოგ შემთხვევაში სახელობითშია დასმული. ოთხ ზმნასთან (მეშინია, მრცხვენია, მერიდება, მეხათრება) დამატება შეიძლება იყოს სახელობითში მხოლოდ მაშინ, როცა დამატება ზმნის საწყისით არის წარმოდგენილი. სახელობითში მდგარი საწყისით წარმოდგენილი დამატება სუბიექტის მიერ ჩადენილ მოქმედებას გამოხატავს ("მე მეშინია სახლის დანგრევა" = "მე მეშინია, რომ სახლი არ დავანგრიო"). დანარჩენ სხვა ზმნებთან არა მარტო საწყისი, არამედ სხვა ტიპის დამატებაც შეიძლება იდგეს სახელობითში. ყველა ცხრა ზმნისთვის ითქმის, რომ თუ დამატება I ან II პირშია, იგი ნათესაობითში უნდა იყოს დასმული. ეს ცხრა ზმნა პირ-რიცხვში ეთანხმება მხოლოდ მიცემითში მდგარ სუბიექტს, ანუ, ე.წ. "სუბიექტური წყობით" არ იუღლება. ამ თვალსაზრისით ისინი შუალედური ხასიათის ზმნებია ერთპირიან ინვერსიულ ზმნებსა და ორპირიანებს შორის. ვინაიდან ამ ზმნებს არა აქვთ ობიექტთან შეთანხმების უნარი, I ან II პირის დამატება ვერ დგას სახელობით ბრუნვაში, რადგან სახელობითში დასმული დამატება, როგორც წესი, მოითხოვს ზმნურ ფორმაში შეთანხმებას პირ-რიცხვში. ამიტომ I და II პირის დამატება, როგორც პირმიუმართავი, ნათესაობით ბრუნვაში ისმის ისევე, როგორც დამატება დგას ნათესაობითში მიმღებობთან და ზმნის საწყის ფორმებთან. საყურადღებოა, რომ ამგვარი მოვლენა არა მარტო ქართულში, არამედ სხვა ქართველურ ენებშიც მოიპოვება.

**მზექალა შანიძე, ძველი ქართული ბიბლიური ტექსტები (მათი შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა).** ძველი ქართული ბიბლიური ტექსტები პირველ რიგში უნდა განიხილებოდეს მახლობელი ქრისტიანული აღმოსავლეთის კულტურის ისტორიის კონტექსტში. მეორე მნიშვნელოვან ასპექტს მათი კვლევისას განსაზღვრავს ის გარემოება, რომ უძველესი ბიბლიური თარგმანები (IV-V სს.) საფუძვლად დაედო ქართულ

სამწერლობო ენას და საერო ლიტერატურის შექმნამდე დიდი ხნის განმავლობაში წარმოადგენდა ერთადერთ მოდელს სალიტერატურო ენისათვის.

ბიბლიური ტექსტების კვლევის თანამედროვე ეტაპზე პირველ რიგში ისმის პრობლემა შესაბამისი მასალის სრული პუბლიკაციისა: დღემდე არ არის გამოქვეყნებული სრული სახით უძველესი ქართული ხელნაწერი ძველი აღთქმისა 978 წ. გადაწერილი ოშკის (ანუ ათონის) ბიბლია, ისევე, როგორც სხვა, უფრო გვიანდელი ნუსხები. არ არსებობს ახალი აღთქმისა და ფსალმუნის გამოცემები ყველა დღემდე მოღწეული ნუსხისა და რედაქციული მიმართებების გათვალისწინებით.

ლინგვისტურ-ტექსტოლოგიური შესწავლისათვის მხედველობაშია მისაღები, რომ თვით უძველესი ტექსტები (ხანმეტი) ერთგვაროვანი არ არის და მასში სხვადასხვა რედაქციული ფენა შეინიშნება. მნიშვნელოვანია აგრეთვე ის, რომ ქართული ენის მორფოლოგიურ ფორმათა სიმყარე და "კონსერვატულობა" არ იძლევა საშუალებას, რომ მარტოდენ ენობრივ მონაცემებზე დაყრდნობით დავათარიღოთ ტექსტები და მათი წარმოშობის დრო გავარკვიოთ. ამის თვალნათლივი მაგალითია გიორგი მთაწმიდლის ნარედაქციევი ოთხთავი და ფსალმუნი. ზემოთდასახელებულ პრობლემათა გადასაჭრელად აუცილებელია ძველი და ახალი აღთქმის წიგნთა ცალ-ცალკე შესწავლა, რადგანაც თითქმის ყველა მათგანს, ცალკე აღებულს, თავ-თავისი ისტორია აქვს.

**დავით მუსხელიშვილი, საქართველო ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე.** არქეოლოგიური, ნუმიზმატიკური და ძველი კარტოგრაფიული მასალა მოწმობს, რომ კავკასია და, კერძოდ, საქართველო, ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, უძველესი დროიდანვე ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი გზაჯვარედინი იყო. კერძოდ, ელინისტურ და რომაულ პერიოდში მასზე გადიოდა საერთაშორისო სავაჭრო მაგისტრალი, რომელიც ინდოეთს ევროპასთან აკავშირებდა.

VI-VII საუკუნეებში ბიზანტია ცდილობს ჩინეთიდან ირანზე მომავალ ე.წ. "აბრეშუმის გზას" მიმართულება შეუცვალოს და თურქთა კაგანატის დახმარებით მისი მარშრუტი იმიერკასპიიდან ჩრდილო კავკასიის გავლით ამიერკავკასიაზე დასდოს. ამ სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალის ამიერკავკასიურ მონაკვეთზე მთავარი

საკვანძო პუნქტი აღმოსავლეთ-ქართული სახელმწიფოს, იბერიის დედაქალაქი, თბილისი უნდა გამხდარიყო. არაბთა ექსპანსიამ ეს დიდი პროცესი ჩაშალა. აღმოსავლეთის სავაჭრო ურთიერთობა ბიზანტიასთან კარგა ხნით შეწყდა.

IX ს-ის მეორე ნახევრიდან კვლავ აღდგა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ევროპასა და აზიას შორის. XIII ს-ის ოციან წლებამდე ეს იყო უაღრესად ხელსაყრელი ხანა (სელჩუკიან თურქთა თარეშის გამოკლებით XI ს-ის მეორე ნახევარში) საერთაშორისო-სატრანზიტო ვაჭრობის განვითარებისათვის საქართველოს სახელმწიფოს მეშვეობით.

მონღოლების და შემდეგ თემურ-ლენგის მრავალგზისმა შემოსევებმა საბოლოოდ მოშალა ქვეყნის ეკონომიკა და საქართველომ დიდი ხნით დაკარგა ოდინდელი მნიშვნელობა საერთაშორისო ვაჭრობაში ევროპასა და აზიას შორის.

XXI ს-თვის თითქოს სავსებით რეალური ჩანს, ამიერკავკასიამ და, კერძოდ, საქართველომ კვლავ დაიბრუნოს თავისი ბუნებრივი გეოპოლიტიკური ფუნქცია.

**გრივოდ გიორგამე, სოციალური ტერმინები არმაზის მონოლინგვასა და ბილინგვაში (“პიტიახში”, “ეზოსმოდვარი”).** არმაზის მონოლინგვა და ბილინგვა – არამეული (არმაზული) დამწერლობით შესრულებული წარწერები – უმნიშვნელოვანესი წერილობითი წყაროებია I-II საუკუნეების იბერიის საზოგადოების სოციალური სტრუქტურის, სახელმწიფო მოხელეთა იერარქიის, პოლიტიკური ისტორიის, ისტორიული გეოგრაფიის შესასწავლად.

ბილინგვის არამეული ტექსტის მე-2-3 სტრიქონების თარგმანი “ზევახი, მცირე პიტიახში ფარსმან მეფისა” მცდარია იმის გამო, რომ წინადადებაში დარღვეულია სემიტური ენებისათვის დამახასიათებელი მსახდურელ-სახდურულის ურთიერთობა (“მცირე” განეკუთვნება არა “პიტიახსს”, არამედ “ზევახს”). ამასთანავე, იბერიაში არ დასტურდება “მცირე პიტიახის” ინსტიტუტის არსებობა, რასაც ამტკიცებს საქართველოში ნაპოვნი I-IV საუკუნეების დროინდელი არამეული და ბერძნული წარწერების, ისევე როგორც ზოგიერთი ძველი ქართული წყაროს მონაცემები: ყოველგვარი მსახდურელის გარეშეა ნახსენები ძველი ქართული წყაროს მონაცემები: პიტიახშები შრგს, ზევახი,

ასფავრუკი, არზამესი, ბერსუმა, ბუზ მიპრი, აშუშა (უშა), არშუშა, ვარსკენი.

არამეული ვარიანტიდან ბერძნულად ნათარგმნ ტექსტში დაშვებულია ცალკეული უზუსტობანი, რაც დაკავშირებული უნდა იყოს არამეული ტექსტის შემოკლებასთან: ფარსმან მეფე ბერძნულ ვარიანტში საერთოდ არ არის მოხსენიებული, პუბლიკოს აგრიპა წარმოდგენილია როგორც პიტიახში და არა როგორც ეზოსმოდვარი, გამოტოვებულია არამეული ვარიანტის მე-7-8 სტრიქონები.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული ვარაუდი იმის შესახებ, რომ ერთი და იგივე პიროვნება შეიძლება ყოფილიყო როგორც პიტიახში, ასევე ეზოსმოდვარი, მცდარია (ბერძნულ ტექსტში დაშვებული შეცდომის გამო: პუბლიკოს აგრიპა დასახელებულია როგორც “პიტიახში”, მაშინ, როდესაც იგი არამეულ ვარიანტში “ეზოსმოდვარია”). გარდა ამისა, არ შეიძლება ამ ორი სახელმწიფო თანამდებობის გაიგივება: არამეული ვარიანტის მიხედვით, ფარსმან მეფეს ერთდროულად ჰყავს როგორც პიტიახში (ზევახი), აგრეთვე ეზოსმოდვარი (აგრიპა).

**ბერნარ უტიე, თეიმურაზ ბაგრატიონის ორი უცნობი ხელნაწერი.** მარი ბროსესა და თეიმურაზ ბაგრატიონს მჭიდრო მეგობრული და მეცნიერული ურთიერთობა ჰქონდათ. ამის საბუთად მათი მიმოწერა გამოდგება. თეიმურაზის წერილებში ბროსესადმი საუბარია მის მიერ პარიზში გამოგზავნილი ხელნაწერების შესახებ.

“მეასიელეს საზოგადოების” ბიბლიოთეკაში დაცულია ორი ქართული ხელნაწერი. ერთი არის დავით ბაგრატიონის ისტორია, რომელიც გამოცემულია მ. ბროსეს მიერ 1833 წელს, რომლის საფუძველზეც თბილისში ის ხელახლა გამოიცა 1972 წელს, რამდენიმე უზუსტობით.

მეორე არის “ანბანნი ქართული სხვადასხვა გვარნი”, ესე იგი ხუცური (ასომთავრული) და მხედრული.

**ნესტან სულავა, სამყაროს მშვენიერების რენესანსული გააზრება “ვეფხისტყაოსანში”.** შოთა რუსთაველის “ვეფხისტყაოსანში” ღმერთის მიერ შექმნილი მთლიანი, მონოლითური სამყარო, შექმნილი “უთვალავი ფერთი”, მშვენიერია, ვინაიდან იგი სრულყოფილია, სრულქმნილია. მისი ყოველი ნაწილი

დმერთმა, უზენაესმა არსებამ მშვენივრად შექმნა. ღამაში, მშვენიერი სამყაროს გვირგვინი ადამიანია, რომელიც, მაკროსამყაროს დარად, ვითარცა მიკროკოსმოსი, "უთვალავი ფერთაა" შემკული. სამყარო და ადამიანი ცვალებადია, განახლებადია, მოძრავია, სხვაგვარად ისინი მრავალფეროვნებას მოაკლდებოდნენ. სამყაროს შექმნისა და მისი იერარქიულობის ღვთაებრივი ჩანაფიქრი მოწესრიგებულია, სისტემურია, მარადიული და უწყვეტია, "უჟამო ჟამია", რაც აბსოლუტური სრულქმნილების საფუძველს ქმნის. სამყაროს ყოველი ნაწილი, ყოველი ელემენტი ჰარმონიულად უკავშირდება მთელს, რაც სისრულეს, ამაღლებულობას, მშვენიერებას წარმოშობს. "ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟები სამყაროსა და მის ნაწილებს (რუსთველურად: "ერთსა" და "ასს") მშვენივრად აღიქვამენ, მათში სიახლეს ეძიებენ, რაც მათვე ამკობთ და ჰმატებთ მომხიბვლელობასა და შინაგან სულიერ სიღამაზეს. ისინი საკუთარი პიროვნების, პიროვნული ღირსების, ინდივიდუალობის დამკვიდრებას ღამობენ და სწორედ ამ პროცესით, ქმედებით, დინამიურობით მშვენიერდებიან. ყურადღების ცენტრში ექცევიან პიროვნებები და არა საზოგადოება, ვინაიდან ეს პიროვნებები ცვლიან მთელ საზოგადოებას, თავის მხრივ, საზოგადოება ხომ პიროვნებათა, ინდივიდთა ერთიანობაა. რუსთველის ადამიანი არის მიკროკოსმოსი, ხოლო სამყარო – მაკროადამიანი. ამიტომაც რუსთველური მხატვრული აზროვნების ნაყოფი – "ვეფხისტყაოსანი" მარადიული მშვენიერებით შემკული სამყარო.

**პარუირ მურადიანი, წმ. გულანდუსტის მარტვილობის ქართული კიმენური ტექსტები და მისი მნიშვნელობა არმენოლოგიისათვის.** 1. ძველი ეკუთვნის VII-ის მეორე ნახევრის ავტორის კალამს. შენახულია მარტვილობის ქართული და ბერძნული ტექსტები ორი რედაქციის სახით (კიმენი და მეტაფრასი).

2. სანდო წყაროა აღმოსავლური ქრისტიანობის სპარსეთის შტოს ისტორიისათვის და აგრეთვე მნიშვნელოვანია ბიზანტიანის პოლიტიკურ და კულტურულ ურთიერთობათა შესწავლისათვის VI-VIII სს-ში.

3. გამოცემული და შესწავლილია აკადემიკოს კ. კეკელიძის მიერ. თავისი დაკვირვებები გამოუქვეყნებიათ აგრეთვე ნ. მარს, პ. პეტერსსა და პაპადებულთ-კერამევსს.

4. ქართული რედაქციის მომდინარეობის წყარო და ენა საბოლოოდ დადგენილი არ არის.

5. ზენ მიერ ტექსტში გამოვლენილ იქნა მნიშვნელოვანი ლექსიკური და სტილისტიკური მონაცემები, რომელთა მიხედვით დგინდება, რომ ქართული კიმენური რედაქცია მომდინარეობს სომხურიდან, რომლის ტექსტი დღესაც უცნობია.

**ელგუჯა ხინთიბიძე, უცნობი ძველი ქართული ხელნაწერები ივირონის წიგნთსაცავში.** გამოკვლევა ეხება ავტორის მიერ აღმოჩენილ ათონური წარმოშობის ქართული ხელნაწერების უცნობ ფრაგმენტებს და ივირონის მონასტერში მიგნებულ ქართულ ხელნაწერებს, რომლებიც ცნობილი არ იყო ივირონის ქართულ ხელნაწერთა აღმწერელთათვის. კერძოდ:

1989 წელს ავტორმა ლონდონის ბრიტანეთის მუზეუმის ერთ ბერძნულ ხელნაწერში (Harley 5623) გამოავლინა სამი ხელნაწერი ფურცელი (254, 255, 256), რომლებიც, როგორც შემდგომი შესწავლით მანვე გაარკვია, წარმოადგენენ XI საუკუნის ათონური წარმოშობის ორი ხელნაწერის ფრაგმენტებს: გამოკრებილი სახარება (ფურ. 254, 255) და პარაკლიტონი (ფურ. 256).

1998 წელს ავტორმა ათონის მთის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში ამ ხელნაწერთა მცველის ბერძენი ბერის თეოლოგოსის თხოვნით იმუშავა ქართულ ხელნაწერთა და ფრაგმენტთა მანამდე უცნობ კოლექციაზე (10-მდე ხელნაწერი თუ ძველი წიგნი, 100-მდე აუკინძავი ფურცელი). ეს ხელნაწერები ძირითადად უცნობია ივირონის ქართულ ხელნაწერთა ძველი აღწერილობებით. მათ შორის ავტორმა ყველაზე საინტერესოდ მიიჩნია XI საუკუნის დღემდე უცნობი კონდაკი – იოანე ოქროპირის "ქამისწირვა".

**ალექსანდრე გვახარია, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიის ძირითადი ეტაპები და მათი შესწავლის მდგომარეობა.** 1. ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორია რამდენიმე ძირითად ეტაპად შეიძლება დაიყოს: უძველესი პერიოდი (VI ს. ზვ.წ-მდე – X ს.ჩვ.წ-ით), რომელიც უმთავრესად ირანული მითების გამოძახილითა და ეროვნული ნახესხობებით შემოიფარგლება;

შუა საუკუნეები - ოქროს ხანა სპარსულ და ქართულ მწერლობაში (XI-XIII სს.), როდესაც ადგილი აქვს არა მარტო ახალ ნაცნობობას, ინტენსიურ მთარგმნელობით მოღვაწეობას (მწვერვალი - "ვისრამიანი"), არამედ ჟანრის ადაპტაციას ("ამირანდარეჯანიანი"), მხატვრული ფორმისა და შინაარსის იდენტიფიკაციას; გვიანდელი შუასაუკუნეები - აღორძინების ეპოქა (XVI-XVIII სს.), მთარგმნელობითი მოღვაწეობისა და ჟანრული ადაპტაციის ახალი ტალღა (თეიმურაზ I, ვახტანგ VI და მისი სკოლა); ახალი და უახლესი პერიოდი (XIX-XX სს.).

2. ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის შესწავლის ისტორიის ხანგრძლივობის მიუხედავად (ვახტანგ VI, თეიმურაზ ბატონიშვილი, მარი ბროსე, ნიკო მარი, იუსტინე აბულაძე, კორნელი კეკელიძე, ალექსანდრე ბარამიძე, დავით კობიძე), ჯერ კიდევ ძალიან ბევრი რამ რჩება გასაკეთებელი: პირველ რიგში, გამოსაქვეყნებელია მთელი რიგი ძეგლების კრიტიკულად დადგენილი ტექსტი (ზოგი მოძველდა, მაგ. თეიმურაზ I 1934 წლიდან არ გამოცემულა, ზოგი, მაგ. ქართული "შირიანი", "ბარამეულანდამიანი", "ჩარდავრიშიანი", "სეილანიანი", "ვარშაყიანი" და სხვ. ან საერთოდ არ გამოქვეყნებულა, ან იაფფასიანი უხარისხო წიგნაკების სახით არსებობს). შესასწავლია მათი მიმართება ორიგინალთან, მათი როლი და ადგილი მშობლიური მწერლობის განვითარების ისტორიაში. დასაწერია ამ ურთიერთობის რეალური ისტორია.

**გუნა კვარაცხელია, ვაჟა-ფშაველა ახალი პოეზიის სათავეებთან.** ვაჟას პროზაში გამოირჩევა ოცდაათიოდე მოთხრობა ("ხმელი წიფელი", "მთის წყარო", "მთანი მაღალნი", "ფესვები", "ქუჩი", "ვერხვი", "ია"...), რომელთა სტილისტიკური თავისებურებანია: თხრობის ინტიმიზაცია, "მკაფიო ემოციური ტონის შემცველი სიტყვები", მხედველობითი ხატების სიუხვე, ღრმა ლირიზმი (გრ. კიკნაძე), აღსარებითი, თვითგამოსატყობი ლირიკული გმირის სახე, მხატვრული სახის თავისებური ტიპის - სახე-განცდის - შექმნა, მეტწილად უსიუეეტო მონოლოგური თხრობა, სამყაროს მეყსეული "მოქცევა" ლირიკულ წამში. ყველა ამ მახასიათებლის ერთიანობა აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ აღნიშნული ნაწარმოებები პროზას არ წარმოადგენს. მათ ლირიკული ლექსისათვის დამახასიათებელი ყველა თვისება აქვთ, გარდა ტრადიციული რითმისა, მეტრისა და რიტმისა. ისინი

არც ლექსად დაწერილი პროზაა, არც რიტმული პროზა და არც თავისუფალი ლექსი.

ვაჟას აღნიშნული ნაწარმოებები განეკუთვნება ჟანრს, რომელსაც *poème en prose* ეწოდება და რომელიც წარმოიშვა და განვითარდა საფრანგეთში (ბერტრანი, ბოდლერი, მაღარმე, კრო, ლოტრეამენი, რემბო, ბრეტონი, პერსი...).

ეს შუალედური ფორმა პოეზიასა და პროზას შორის დაკავშირებული იყო ახალი პოეზიის შექმნასთან ევროპაში.

**თენგიზ კიკანიშვილი, თავისუფლების იდეის გამოვლენა ილიას შემოქმედებაში.** საზოგადოებრივი მოღვაწეობისა თუ შემოქმედებითი წვის მანძილზე ვითარებათა რეალურობით იყო განპირობებული ილიასეული კრედოს - მხილებისა და ქვეყნის ხსნისათვის გზების ძიების ქმედითუნარიანობა. ილია საჭიროდ მიიჩნევდა თავგანწირვის სიდიადის ამაღლებული გრძობისათვის ეზიარებინა თავმოყვარეობა შერყეული ქართველი: "წმინდა იგი, ვისაც ვლირსა მამულისათვის თავის დადება!... ნეტა იმ ვაჟაკს, ნეტა იმ გმირსა, ის თავის ხალხში აღარ მოჰკვდება".

ილიას სიდიადე ერის სულიერი მახასიათებლების მიმართ მისი დამოკიდებულებით განისაზღვრება. როცა ერი კარგავს დამოუკიდებლობას, პოტენციურად მისი ადღგენისათვის მებრძოლად რჩება მაინც. აქაა საფრთხე ჩადებული: მავანთ ჰკონიათ, რომ ერისათვის მხოლოდ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობაა საკმარისი, ანუ ივიწყებენ ერის სულიერ ისტორიას, ურომლისოდაც, რა თქმა უნდა, დამოუკიდებლობაც უსათუოდ დაიკარგება. დიდ ილიას ერის სულიერ მახასიათებლებით სავალ გზაზე უნდა მოეძიებინა თავისუფლება, ამიტომაც უნდა აღეძრა ერში ზნეობრივი ღირსების განცდა. ამის გამო მოხსნა მან "აჩრდილსა" თუ სხვა უკვდავ ქმნილებებში უპირველესი მოთხოვნილებიდან საჭმლისა და თვით სიცოცხლის უპირატესობა, აღმატებულად წარმოსახა მაღალზნეობრივ ღირებულებათა მნიშვნელობა.

**რევაზ მიშველაძე, მე-20 საუკუნის უკანასკნელი ათწლეული და ქართული მწერლობა.** შეხედულებათა რადიკალური გადაფასებით, სტერეოტიპული შინაგანი

წონასწორობის რღვევით, ხვალისდელი დღის შიშით მიმდინარეობს დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქის ჩამოყალიბების პროცესი და სრულიად ბუნებრივია, რომ, მიუხედავად ენერგიული მცდელობისა, ლიტერატურა ფეხდაფეხ ვერ მოჰყვება ამ აჩქარებული დონის ელვისებურ სრობლას.

თანამედროვე ლიტერატურული პროცესი ძირითადად სამეგარი სიახლით გამოირჩევა:

1. პოზიციათა სხვადასხვაობა. იოლი არ აღმოჩნდა კომუნისტური მსოფლმხედველობიდან ეროვნულ პოზიციასზე გადმორთვა. არაერთი მწერალი ყოყმანის, დუმილის, დროის დისტანციის პრინციპებს ერთგულობს.

2. ჟანრულ ძიებათა გამრავალფეროვნება. თვალშისაცემ სიახლედ პროზისა და პოეზიის ერთგვარი გადოკუმენტურება, რეალურცხოვრებისეული მაგალითებით ნაწარმოების აღჭურვა დამკვიდრდა.

3. ლიტერატურული პროცესის მრავალსპექტრიანობა. სოციალისტური რეალიზმის მსხვერველ სხვადასხვა ლიტერატურული სკოლა, დაჯგუფება თუ მიმართულება წარმოშვა.

**ზურაბ კიკნაძე, ზღვა და ხმელეთი ქართულ მითოლოგიაში.** “ზღვაში შევიდა, მთაზე ავიდა” – ურუქის პირველი დინასტიის პირველ მეფეზე, მესქიაგაშერზე, თქმული ეს სიტყვები, რომელიც მის ღვაწლს ასე ლაკონიურად გადმოგვცემს, სხვა არაფერია, თუ არა კოსმოლოგიური მითოლოგია.

ზღვისა და მთის (ხმელეთის) დაპირისპირება ერთ-ერთი ფუნდამენტური უნივერსალია ძველი ცივილიზაციების მითოლოგიებში. მაგრამ ჩვენთვის ამჟამად მთავარი ის არის, რომ ამ დაპირისპირებას თავისი რიტმი აქვს: ან ის გაწონასწორებულია, როგორც მესქიაგაშერის ეპიზოდში; ან ზღვა ძლევს ხმელეთს; ან ხმელეთი ძლევს ზღვას. პერიოდულად ხან ერთი საწყისი წამოიწვეს წინ, როცა წყალი – ეს წარდენაა, როცა ხმელეთი – ეს გვაღვია. ზღვა გამუდმებით ცდილობს ხმელეთის წალეკვას ან შთანთქმას; ხმელეთი კი, როგორც კაცთა სამყოფელი, გამუდმებით იცავს თავს ზღვაური სტიქიისაგან. ამ ბრძოლის გამომხატველ მითოსს კლასიკური სახით უგარიტულ მწერლობაში ვხვდებით: იამი (იამი “ზღვა”) უპირისპირდება ბაალს, ხმელეთის პატრონს (ბა’ალ,

“პატრონი”, “ბატონი”). თავად უგარიტს – კუნძული ხმელთაშუა ზღვაში, რომლის მითოსურ ბიოგრაფიას წარმოადგენს ტექსტი, - ზღვა დროებით იტაცებს. ბაალი უკუაქცევს ზღვას და კვლავ იბრუნებს ხმელეთს. და ასე ენაცვლება ერთმანეთს ზღვაური და მიწური პერიოდები. ეს უნივერსალია ქართულ მითოლოგიურ სინამდვილეში ორი ვარიანტით არის წარმოდგენილი.

1. თამარი, როგორც დემიურგი, ბრძოლას უმართავს ზღვას და თავისი დედაკაცური ატრიბუტით – ჩიქილათი (ვარიანტში: ცეცხლით) ამარცხებს მას და გამოსტაცებს ხმელეთს ანუ მიჯნავს ერთმანეთისგან ზღვასა და ხმელეთს (“*ზღვასა გადაჰკრა ჩიქილა, გადააქანნა წყალნიო, შუა ზღვას ჩადგა სამანი, არ გადმოსცილდეს ცვარიო*”). ზღვისგან მოპოვებულ ხმელეთზე თამარი ქალაქისა და ტაძრის სახით აშენებს კაცობრიულ ცივილიზაციას.

2. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, სადაც კი არსებობს ტბა ან ჩაგარდნილი ადგილი (ნატბევარი), თითქმის ყველგან დასტურდება ამ უნივერსალიის გამომხატველი ანალოგიური მითოსი: ტბიდან ამოსული გველეშაპი (წყლის სტიქია) ლამობს სოფლის (resp. ხმელეთის) წალეკვას ან შთანთქმას, სოფლიდან გამოსული ხარი ერკინება და ამარცხებს გველეშაპს, და ამრიგად იხსნის სოფელს.

მითოლოგებს “ზღვაში შევიდა, მთაზე ავიდა” თამარის მითოსი სავსებით პასუხობს მისი ყოფნით ზღვაში (“*მოხვედი მეშვიდე წელსა, სთქვი: შუა ზღვაი ენახეო*”) და მთაზე (ბრუტსაბძელა – მარადიული ზაფხულის ქრონოტოპი).

გორგასლის ცნობილ ლექსში (“*ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა, ციდან შემოესმა რეკა, იალბუზზე ფეხი შედგა...*”) მესქიაგაშერის მითოლოგია ნაწილობრივ არის რეალიზებული.

**ამირან გომართელი, საღვთო ტრფიალების პარადიგმა გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში.** სიყვარულის ღვთაებრიობის იდეა ყველაზე მკაფიოდ ქრისტიანობაშია გამოვლენილი. მიწიერი სიყვარული ღვთაებრივი სიყვარულის ნაწილად მოიაზრება. ღვთაებრივ ტრფიალებას “საზეო” მიჯნურობას უწოდებს რუსთაველი. “საზეო” სიყვარულზე მსჯელობისას პოეტები ხშირად მიმართავენ მიწიერი სიყვარულის ანალოგიას, რაც დასაბამს ძველი აღთქმიდან იღებს. “საზეო” მიჯნურობის იდეა ქართული პოეზიის

გამჭოლი თემაა. იგი გამოვლინდა ვახტანგ მეექვსის, მამუკა ბარათაშვილის, დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, აკაკი წერეთლისა თუ გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში.

ამ უკანასკნელთან უმრავლეს შემთხვევაში ღვთაებრივი ტრფიალების ობიექტია არა ძე ღვთისა, არამედ, უპირატესად, ღვთისმშობელი, რომელსაც გალაკტიონი ხან რეალისტური მკაფიობით აღბეჭდილ ჰქონს უძღვნის (მაგ: "AVE MARIA"), ხან კი სიმბოლისტათვის დამახასიათებელი მინიშნებითა და აბსტრაქციით გამოხატავს სათქმელს ("მერი", "თოვლი", "მერის თვალებით"...)

გალაკტიონ ტაბიძისათვის, ისევე როგორც დასავლურ ევროპული თუ რუსული პოეზიისათვის, ღვთისმშობელი ციური სიწმინდისა და მარადქალურობის იდეალია და იგი ორი სახელით მოიხსენიება:

*ქართული მარიაში და ინგლისური მერი.*

**ღოდონა კიზირია, თბილისის ქუჩების სახელწოდებები და ქართული ლიტერატურა.** ქუჩების დასახელებების მიხედვით თბილისის ურბანული კულტურის ისტორიაში პირობითად გამოიყოფა სამი არათანაბარი მონაკვეთი: ისტორიული, კოლონიალური და საბჭოური. პირველი, ისტორიული მონაკვეთი მრავალსაუკუნოვანი ფაზაა, რომლის დროსაც თბილისი ყალიბდება როგორც საქართველოს ერთ-ერთი მთავარი ურბანული ცენტრი. კოლონიალური პერიოდი იწყება რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიით, ხოლო მესამე პერიოდი საქართველოს გასაბჭოების შედეგია. ამ პერიოდში შექმნილ ტოპონიმებში არეკლილია როგორც ლიტერატურის პრესტიჟული სტატუსი, ასევე მისი სრული დაქვემდებარება იდეოლოგიისადმი.

1956 წლის შემდგომ პერიოდში ლიტერატურაში თანდათანობით გაძლიერდა ავტორის მოქალაქეობრივი პოზიციის მნიშვნელობა. მწერლობის პრესტიჟი ხშირად მკითხველის ფართო ფენებში ამ პოზიციას ეყრდნობოდა. ამიტომ 1991-92 წლებში მწერლობისა და შემოქმედებითი ინტელიგენციის გარკვეული ნაწილის მიერ ამ პოზიციებიდან გადახვევამ გამოიწვია მისი პრესტიჟის მნიშვნელოვანი დაქვეითება. ამასთანავე, ლიტერატურის სულ უფრო და უფრო მარგინალურ პოზიციაში გადაადგილებამაც

შეუწყო ხელი მწერალთა საზოგადოებრივი როლის შემცირებას. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ლიტერატურული სახელები იშვიათად თუ იყო ნახმარი ქალაქის ტოპონიმიაში.

ტოტალიტარული სისტემის ნგრევამ შექმნა ლიტერატურის დამოუკიდებლობის წინაპირობა. შეძლებს თუ არა ლიტერატურაში მოსული ახალი თაობა ამ შესაძლებლობების გამოყენებას, დამოკიდებულია სხვადასხვა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფაქტორებზე. ახლო მომავალში კი საეჭვოა, რომ თბილისის ქუჩების სახელწოდებებში გამოჩნდეს რომელიმე მწერლის სახელი.

**ლეილა ხუსკივაძე, ჭედური ხელოვნების განვითარების გზები საქართველოსა და ბიზანტიაში.** შუა საუკუნეების ქართული და ბიზანტიური ჭედური ხელოვნების ფორმირებისა და განვითარების პროცესები, ერთიანი რელიგიური ესთეტიკური ნორმების პირობებში, პრინციპულად განსხვავებულია ერთმანეთისაგან – ეს არის სხვადასხვა მხატვრული ევოლუციისა და მსოფლგანცდის შედეგი. ამ ხელოვნებათა ძეგლების მხატვრულ-შეღარებითი ანალიზი იძლევა შესაძლებლობას გიორგი ჩუბინაშვილის დებულებების გაფართოებისა კონკრეტული განსხვავებების გამოვლენით ოქრომქანდაკელობის როგორც ძირითადი მიმართულების მხრივ, ასევე კერძო ასპექტებშიც. ეს ეხება ამ ხელოვნებათა ფორმირების ძირებს, განვითარების ხასიათს, ქრონოლოგიური განსაზღვრის მოდუსს, ურთიერთმიმართებას ფერწერასთან, დეკორატიულ მიდგომებს, ყვავილოვან-ფოთლოვანი ორნამენტის სპეციფიკურობას და სხვა.

გიორგი ჩუბინაშვილის დაკვირვებით, ქართულმა ჭედურობამ თავისი შემოქმედებითი აქტივობის პერიოდში (X-XI სს.) იგივე გზა განელო, რაც დასავლეთ ევროპამ ასი წლით გვიან. ეს ფაქტი, ჩვენი აზრით, კიდევ ერთი საბუთია იმისა, რომ ქართულ კულტურაში, საერთოდ, ჩადებული იყო ტენდენციები, ახლობელი არა მხოლოდ აღმოსავლურ, არამედ დასავლურ სამყაროსთან, რისი ბრწყინვალე დასტურია შოთა რუსთაველის "ვეფხისტყაოსანი".

**კიტი მაჩაბელი, ქართული ქრისტიანული ხელოვნების სათავეებთან.** მოხსენებაში განხილულია ქართული ქრისტიანული ხელოვნების ჩასახვისა და განვითარების საწყისი ეტაპის განმსაზღვრელი მოვლენები. ხელოვნების ნიმუშები

წარმოდგენილია ქვეყანაში მიმდინარე რთული პოლიტიკური, სოციალური და იდეოლოგიური პროცესების ფონზე. ადრეული შუასაუკუნეების ქართული ხელოვნების ხასიათის განსაზღვრა ეფუძნება წინაქრისტიანულ ხანაში ქვეყანაში არსებული ვითარების გათვალისწინებას. გვიანანტიკურ საქართველოში მხატვრულ ტენდენციათა თავისებურებამ მოამზადა ნიადაგი ქრისტიანული ხელოვნების ჩამოყალიბებისათვის.

ადრეული შუასაუკუნეების ქართული ხელოვნების განვითარება მჭიდროდ იყო დაკავშირებული გარემომცველი სამყაროს მხატვრულ პროცესებთან. გათვალისწინებულია ბიზანტიის, აღმოსავლურ ქრისტიანული ცენტრების, სასანური ირანის ურთიერთობა საქართველოსთან. გამოვლენილია ადრექრისტიანული ქართული რელიეფების სიბრტყობრივ-დეკორატიული სტილის დოგმატურ-იდეური საფუძვლები. განსაზღვრულია ქართული ხელოვნების ადგილი ქრისტიანული ხელოვნების საერთო განვითარებაში.

**ირინა არსენიშვილი, XX საუკუნის პირველი მეოთხედის ქართული ფერწერული სკოლა რუსული და ევროპული ხელოვნების ფონზე.** ქართული დაზგური ფერწერა XX საუკუნის პირველი მეოთხედისათვის სავსებით ჩამოყალიბებული ეროვნული მხატვრული სკოლის სახეს იძენს, რომელიც მხატვრული მრავალფეროვნებით ხასიათდება, რადგან ამ ხანის მხატვრები - დიმიტრი შევარდნაძე, ვალერიან სიღამონერისთავი, დავით კაკაბაძე, შალვა ქიქოძე, ლადო გუდიაშვილი, ქეთევან მაღალაშვილი, ელენე ახვლედიანი ნათლად გამოკვეთილი ინდივიდუალური შემოქმედებითი ბუნებით გამოირჩევიან და, აქედან გამომდინარე, მათ შემოქმედებაში მხატვრული ტრადიციებისა და ხელოვნების განვითარების საერთო ტენდენციებისადმი მიდგომის თავისუფალი არჩევითობა იჩენს თავს. ამის მიზეზი ისიც იყო, რომ ახალი ქართული ხელოვნების განვითარების გზა არ ხასიათდება ევროპული ხელოვნებისა და რუსულისათვის დამახასიათებელი "სისტემურობით" მხატვრული მიმდინარეობების ეტაპობრივი განვითარების თვალსაზრისით, ახალი ქართული მხატვრობის დროის მცირე მონაკვეთში "შემჭიდროებული" ეკოლუციის გამო. ახალი ქართული მხატვრობა თავის მხატვრულ ძიებებში ევრდნობა ევროპული და რუსული ხელოვნების ტრადიციებს, რომლებსაც ის შემოქმედებითად აღიქვამს. ახალი

დროის ქართულ ხელოვნებაში სხვადასხვა მხატვრული მიმდინარეობების, გაელენების, შემოქმედებითი ძიებების მიღმა ჩანს ეროვნული სახე, ის ეროვნული ნიშნები, რომლებიც შუა საუკუნეების ხელოვნებაში ჩამოყალიბდა.

აქტიური მხატვრული ძიებების გზაზე, გამომდინარე ეპოქის მსოფლმხედველობიდან, ცალკეული მხატვრების შემოქმედებითი მეთოდიდან, ყალიბდება მხატვრული სკოლა, რომელიც შემოქმედებითი ინდივიდუალობების მრავალფეროვნებით ხასიათდება. ამასთან ერთად, ყველას აერთიანებს ის ეროვნული ნიშნები, რაც განსაზღვრავს მხატვრული სკოლის არსებობას. პირველ რიგში, რაც უნდა გამოარჩევდეს ეროვნულ მხატვრულ სკოლას, არის საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ეროვნული ნიშნები. ისტორიაში ყოველთვის მოქმედებს თავისებური კულტურული მახსოვრობა, ხელოვნება ამ მახსოვრობის ერთ-ერთი მატარებელია.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში დაზგური ფერწერის ჩამოყალიბებისა და განვითარების ხანა ევროპასთან და რუსეთთან შედარებით გვიან დაიწყო, ახალი ქართული მხატვრობა ევროპული და რუსული ხელოვნების თანადროული მხატვრული პრობლემების დონეზე აღმოჩნდა და, ამასთან ერთად, შეინარჩუნა საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული კულტურის, ხელოვნების საერთო ნიშნები: რეალობის ესთეტიკური აღქმა, ემოციური და რაციონალური საწყისების თანაფარდობა, რაც მხატვრული სახელების თავისებურ ზომიერებაში ვლინდება, ხოლო მხატვრული ენის სისტემის დონეზე ფორმალურ-კომპოზიციურ ლაკონიზმში, გრაფიკული საწყისის, კოლორიტის პარამონიულობისა და სიბრტყის ესთეტიკური ორგანიზაციის განმსაზღვრელ მნიშვნელობაში იჩენს თავს. ამ ხანის ქართულ მხატვრულ სკოლას მისი თანადროული რუსული და ევროპული მხატვრობის ფონზე საკუთარი მხატვრულ-ესთეტიკური და ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

### THE FOURTH INTERANATIONAL SYMPOSIUM ON KARTVELIAN STUDIES

On 21-25 May of this year Ivane Javakhishvili State University of Tbilisi hosted an international conference of Caucasologists dedicated to the 200<sup>th</sup> birth anniversary of Marie Brosset: "Processes of Integration and Disintegration in the Caucasus (history, contemporaneity and prospects)," within which the 4<sup>th</sup> symposium on Kartvelian Studies was held.

The Conference was unveiled on 21 May in the Conference Room of the TSU. Letters of greetings to the participants of the Symposium and the Conference were sent by Mr. Eduard Shevardnadze, the President of Georgia, and the Minister of State Avtandil Jorbenadze. In his opening address, the Rector of the University, Academician Roin Metreveli stressed the significance of the Caucasus region and the political, economic and cultural processes occurring here for world integration, which doubtless adds urgency to holding such a conference.

Professor Elguja Khintibidze, Director of the Centre for Kartvelian Studies, announced at the same plenary meeting the decision of the Centre for Kartvelian Studies on awarding the Marie Brosset Prize, established by the *Centre*, to the foreign Kartvelologist Bernard Outtier, and on awarding the Marjory Wardrop Prize, established by the same Centre, to the German Kartvelologist Winfried Boeder. The Rector, Acad. Roin Metreveli, performed the honorary mission of handing the Marie Brosset Prize to the French scholar Bernard Outtier who attended the Symposium.

The Conference worked in 3 sections: 1. Caucasology, 2. Marie Brosset and 3. Kartvelology.

It should be noted that interest in the Conference in general, and the 4<sup>th</sup> Kartvelological Symposium in particular, was shown not only by Georgian but by many foreign researchers as well (from countries of the near and far abroad). The papers presented by them were

varied and many-sided both in themes and in the approach to the issues discussed, as will be seen from the following list of papers devoted to Kartvelological problems, arranged in subgroups.

#### PAPERS DEDICATED TO MARIE BROSSET

1. Mariam Lortkipanidze (Tbilisi) – Brosset and *Kartlis Tskhovreba*.
2. Edisher Khoshtaria-Brosset (Tbilisi) – Marie Félicité Brosset and the Georgian Society.
3. Guram Sharadze (Tbilisi) – Marie Félicité Brosset's Life and Activities.
4. Giorgi Otkhmezuri (Tbilisi) – Marie Félicité Brosset and Georgian Epigraphy.
5. Neli Iosava (Tbilisi) – Marie Brosset and Questions of Georgian Grammar.

#### QUESTIONS OF GEORGIAN AND KARTVELIAN LANGUAGES

1. Zurab Chumburidze (Tbilisi) – Towards the Study of Svan Church Terminology.
2. Elene Babunashvili and Tedo Uturgaidze – Anton I – Father of Georgian Grammatical Thinking.
3. Iasuhiko Kojima (Tokyo) – The Object in the Genitive Case with Some Inversive Verbs in Georgian.
4. Mzekala Shanidze (Tbilisi) – Old Georgian Biblical Texts (the present status of their study).
5. Wim J. M. Lucassen (Amsterdam) – Witsen's Dutch-Georgian Word List in *Noord en Oost Tartarien* (Amsterdam 1705, pp. 506-504), provided with Georgian, English and Russian equivalents.

## QUESTIONS OF GEORGIAN HISTORY

1. Thomas Gamkrelidze (Tbilisi) – Christianity and Ancient Georgian Culture.
2. David Muskhelishvili (Tbilisi) – Georgia at the Crossroads of Europe and Asia.
3. Grigol Giorgadze (Tbilisi) – Social Terms in the Armazi Monolingual and Bilingual (*Pitiakhsh, ezosmodzghvari*).
4. Sephen Rapp (Atlanta, USA) – Caucasia's Place in the Eurasian World: The Testimony of *Cxovrebay Kartvelta Mepeta*.

## QUESTIONS OF GEORGIAN LITERATURE

1. Bernard Outtier (Paris) – Two Unknown Manuscripts by Teimuraz Bagrationi.
2. Nestan Sulava (Tbilisi) – Renaissance Conception of the Beauty of the World in *The Man in the Panther's Skin*.
3. Paruir Muradyan (Yerevan) – Armenological Significance of the Georgian *keimenic* Recension of the *Martyrdom of Gulandukht*.
4. Michael van Esbroek (Munich) – What was the Festival of Roses, First Mentioned in Old Georgian Liturgical Sources.
5. Elguja Khintibidze (Tbilisi) – Hitherto Unknown Old Georgian Manuscripts in the Iviron Library.
6. Aleksandre Gvakharia (Tbilisi) – The Main Stages of the History of Georgian-Persian Literary Contacts and the Status of their Study.
7. Gaga Shurghaia (Rome) – Eschatological Views according to Old Georgian and Byzantine Sources.
8. Gucha Kvaratskhelia (Tbilisi) – Vazha-Pshavela at the Source of New Poetry.
9. Tengiz Kikacheishvili (Tbilisi) – Ilia Chavchavadze's Con-

ception of Struggle for Liberty.

10. Revaz Mishveladze (Tbilisi) – The Last Decade of the 20th Century and Georgian Literature.
11. Zurab Kiknadze (Tbilisi) – The Sea and Land in Georgian Mythos.
12. Amiran Gomarteli (Tbilisi) – The Paradigm of Divine Love in Galaktion Tabidze's Poetry.
13. Dodona Kiziria (Bloomington, USA) – Street Names in Tbilisi and Georgian Literature.
14. Rachia Bairamyán (Yerevan) – E. Charents and T. Tabidze: Friendship of Great Writers – a Major Factor in the Rapprochement of Cultures.

## QUESTIONS OF GEORGIAN ART

1. Leila Khuskivadze (Tbilisi) – The Paths of Development of Repousse Art in Georgia and Byzantium.
2. Kitty Machabeli (Tbilisi) – At the Source of Development of Georgian Christian Art.
3. Irina Arsenishvili (Tbilisi) – The Georgian School of Painting of the First Quarter of the 20th Century against the Background of Russian and European Art.

The Centre for Kartvelian Studies will next year publish the papers of the 4th Kartvelological Symposium, with summaries.

## ქართველები ოტომანთა იმპერიაში

ოტომანთა იმპერიაში ქართველთა კომპაქტური დასახლებების შესახებ ცნობები მრავალ ისტორიულ წყაროშია დაფიქსირებული<sup>1</sup>, მაგრამ მითითებული არ არის ის, თუ რამდენად მრავალრიცხოვანი იყო ქართველთა სათვისტომო და რა იურიდიული სტატუსი გააჩნდა მას. ჩვენი აზრით, ამ გარემოების მიზეზი უმთავრესად ის უნდა იყოს, რომ ქართველებს, მათი მცირერიცხოვნების გამო, არასოდეს ჰქონიათ საკუთარი მილეთი, ისინი ყოველთვის სხვა მილეთებში შედიოდნენ და ზოგადად „მონოფიზიტ მართლმადიდებლებად“ იწოდებოდნენ.

თურქული ისტორიული წყაროები ერთმანეთისაგან განასხვავებს შავი ზღვისპირეთში მცხოვრებ ლაზებსა და კავკასიიდან მომავალ ქართველებსა და აფხაზებს. ლაზთა შესახებ ცნობები საკმარისად დეტალურია და იმპერიის აღწერისას შედგენილ დოკუმენტებში ისინი თავიანთი ეროვნული სახელით იხსენიებიან. ქართველები და აფხაზები კი სხვადასხვა ეთნიკურ ან რელიგიურ ჯგუფში არიან გაერთიანებულნი - „მონოფიზიტთა“, „სხვა ეროვნებათა“, „სხვა ქრისტიანთა“ და ა. შ. შორის.

1514 წელს თავრიზისა და კავკასიის ერთი ნაწილის დაუფლების შემდეგ სელიმ პირველმა დაპყრობილი ტერიტორიის მოსახლეობის ერთი ნაწილი იმპერიის დედაქალაქში გადაასახლა, რადგანაც სახელგანთქმული იყო ზემოაღნიშნულ რეგიონთა მცხოვრებლების ხელოვნება, განსაკუთრებით, კერამიკის დარგში. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ფაქტით არ იწყება ქართველ-აფხაზთა კონსტანტინოპოლში მოღვაწეობის ისტორია: ჯერ ერთი, ისინი აქ თურქების მოსვლამდე მოღვაწეობდნენ და, მეორე, 1453 წელს ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდგომაც, მრავალ მათგანს იზიდავდა სამოღვაწეოდ თავისი მრავალმხრივი და ფართო პერსპექტივით ღიღი მეტროპოლი<sup>2</sup>.

კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ ქართველთა

<sup>1</sup> როგორც ცნობილია, საქართველოს ტერიტორიის რაღაც ნაწილი სხვადასხვა დროს თურქეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. ასეთი საკითხები ცალკე განხილვის საგნად მიგვანია და ამაზე აქ არ შეეჩერდებით.

<sup>2</sup> R. Mantran, *La vie quotidienne à Constantinople*, Paris, 1965, გვ. 61, 70.

## GEORGIANS' ACTIVITIES IN FOREIGN CENTRES

სათვისტომოს შესახებ პირველი ცნობა 1461 წელს განეკუთვნება. მის თანახმად, მცირე აზიელ სომეხთა მიტროპოლიტი იოვაკიმი ბურსიდან სულთანის კარზე იხმეს, რათა მეჭმედ მეორის სპეციალური ფირმანით იგი „მართლმადიდებელ მონოფიზიტთა“, - ე. ი. სომეხ, კობტ, ქართველ, ქალდეველ, აბისინიელ და სირიელ ქრისტიანთა ერთი ნაწილის - თავკაცად ეცნოთ<sup>1</sup>. ამით იოვაკიმმა ფაქტობრივად ბერძენი ეკუმენისტი პატრიარქის თანაბარი იურისდიქცია მიიღო, ესე იგი, მის სფეროში შემოვიდა როგორც რელიგიური, ისე სამოქალაქო სამართალი<sup>2</sup>. მაგრამ იურიდიულად სომეხთა კათალიკოსი ბერძენ პატრიარქს გაუთანაბრდა მხოლოდ 1514 წელს, როდესაც სომხეთის დაპყრობის შემდეგ, სომხური მილეთი შეიქმნა. მეჭმედ მეორის ზემოაღნიშნული ფირმანი მოწმობს იმასაც, რომ ოტომანთა იმპერიაში საქართველოს ეკლესია სომხეთის ეკლესიასთან იყო დაკავშირებული<sup>3</sup>.

ოტომანთა ბატონობის პერიოდში ბერძნული და სომხური ეკლესიები ცდილობდნენ, თავ-თავიანთკენ გადაებირებინათ ქართველი, სერბი და ეთიოპიელი ქრისტიანები. ეს პროცესი განსაკუთრებით თვალში საცემი იყო წმინდა მიწაზე, სადაც ქართველები, მრავალი ისტორიული ცნობის მიხედვით, ახ. წ. IV საუკუნიდან მოყოლებული მოღვაწეობდნენ. გვიანდელ წყაროებში განსაკუთრებით საინტერესოა XVI საუკუნის არაბი ისტორიკოსის მუჯირ ალ-დინ ალ-ჰულაიმი ალ-ჰანბალის (Muğir al-Din al-'Ulaymī al-Hanbalī) ცნობა, რომლის მიხედვითაც, იერუსალიმის ოთხ უმთავრეს ეკლესიათაგან ერთ-ერთი ქართველთა ჯვრის მონასტერია (Musallabiyya)<sup>4</sup>. საინტერესოა ასევე ცნობები ჯორჯ სენდზისისა<sup>5</sup>, რომელმაც XVII საუკუნის დასაწყისში იმოგზაურა იერუსალიმში და მრავალ ქართველ პილიგრიმს შეხვდა<sup>6</sup>. იერუსალიმელ ქართველთა შესახებ ვიცით ისიც, რომ მათ 1577 წელს სარჩელი აღძრეს სულთანთან, რადგანაც ლათინებმა და სომხებმა წმინდა მიწაზე მათთვის კუთვნილი ერთი ადგილი

<sup>1</sup> M. Ormanean, *Hayoc' Ekelec'in*, 1911, გვ. 102-103.

<sup>2</sup> S. R. Sonyel, *Minorities and the distruction of the Ottoman Empire*, Ankara, 1993, გვ. 44-45.

<sup>3</sup> G. Young, *Corps de droit ottoman*, 2, Oxford, 1905, გვ. 72, შენ. 7.

<sup>4</sup> M. A. Bakhit, *The Christian Population of the Province of Damascus in the Sixteenth Century*, wgn. B. Braude, B. Lewis, *Christians and Jews in the Ottoman Empire*, 2, New York, 1982, გვ. 49, შენ. 279.

<sup>5</sup> G. Sandys, *A Relation of a Journey*, London, 1652, გვ. 163.

<sup>6</sup> M. A. Bakhit, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 48.

წართვეს. სულთანმა საკითხი განიხილა და აიძულა დამნაშავე მხარე დაეცვა ადრე მიღწეული შეთანხმებები<sup>1</sup>.

იერუსალიმში ქართველთა, ისევე როგორც სერბთა და ეთიოპელთა, ძირითად ნაწილს ბერ-მონაზვნები შეადგენდნენ. ეს სამო XVII საუკუნიდან მოყოლებული ნელ-ნელა დაკნინდა, ვიდრე საბოლოოდ არ დაიშალა. იერუსალიმში ქართველ ბერთა რაოდენობის შესახებ მონაცემები არ მოიპოვება არც XVI საუკუნის პროვინციების და არც – XVII საუკუნის დასასრულის საგადასახადო დავთრებში. ეს გარემოება, შესაძლებელია, იმით აიხსნას, რომ ოტომანები (ოსმალები) თავიანთ ქვეშევრდომებს ერთმანეთისაგან რელიგიური და არა ეროვნული ან კულტურული ნიშნით განასხვავებდნენ და ამიტომ მათ, ჩვეულებრივ, მუსლიმებად და არამუსლიმებად ჰყოფდნენ. აქედან გამომდინარე, სერბებსა და ქართველებს რეგისტრაციაში ატარებდნენ როგორც „რუმიელებს“ ანუ ბერძნებს, ანდა როგორც „ერმენებს“ ანუ სომეხ მართლმადიდებლებს<sup>2</sup>.

ამასთანავე, საგადასახადო დავთრებში ქართველთა „გამოჩენა“, შეიძლება, მათი განსაკუთრებული იურიდიული სტატუსით აიხსნას. საქმე ისაა, რომ ოტომანებმა თავიანთ წინამორბედ მამლუქთაგან მემკვიდრეობით მიიღეს კოდექსი, კანუნამე-ი კუმამე (Kânunnâme-i Kumame), რომლის მიხედვითაც, ქართველებისა და ეთიოპიელების გარდა, ყველა სხვა ეროვნების ქრისტიან პილიგრიმებს წმინდა საფლავის მოსახილველად ქირა უნდა გადაეხადათ. ქართველთა და ეთიოპიელთათვის დაშვებული გამონაკლისი თვალსაჩინოს ხდის იმ გარემოებას, რომ ოტომანებმა გაითავისეს მემლუქების პოლიტიკურ-სტრატეგიული კონცეფცია, რომელიც ანგარიშს უწევდა იმ გარემოებას, რომ ეთიოპია ნილოსის სათავეებთან მდებარეობდა, საქართველო კი კონტროლს უწევდა კავკასიის მისაღვომებს, ე. ი. იმ რეგიონს, საიდანაც კომპლექტდებოდა იმპერიის სამხედრო და ბიუროკრატიულ-ადმინისტრაციული აპარატის უდიდესი ნაწილი<sup>3</sup>. როგორც ცნობილია, მამლუქები იყვნენ კავკასიაში შესყიდული ტყვე ბავშვები, რომლებსაც სასახლეში ამზადებდნენ სამხედრო ან სამოქალაქო სფეროში მოღვაწეობისათვის. მამლუქთა ტრადიცია,

<sup>1</sup> იქვე, გვ. 50.

<sup>2</sup> O. Peri, *Christianity under Islam in Jerusalem*, Leiden, 2001, გვ. 24.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 162-163, შენ. 5.

რომელიც თავის დროზე ეგვიპტის მმართველი კასტის შევსებას სჭირდებოდა, შემდგომში ოტომანებმა გააგრძელეს<sup>4</sup>.

პალესტინაში ქრისტიანთა რაოდენობა დამოკიდებული იყო მათ სიმდიდრესა და გავლენაზე, აგრეთვე სულთნის კეთილგანწყობაზე. ამის გამო, სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში იცვლებოდა როგორც მათი რიცხვი, ისე – ქრისტიანულ ეკლესიათა ოფიციალური საზღვრები. მაგალითად, XVII საუკუნეში ქართველების, სერბებისა და ეთიოპიელების რაოდენობა თანდათან შემცირდა, მოგვიანებით კი ეს ერები საერთოდ გაქრნენ წმინდა მიწაზე<sup>5</sup>. ბერძნულმა მართლმადიდებელურმა ეკლესიამ, რომელიც ახალ ისტორიულ ვითარებაში მათი ქონების მითვისებას შეეცადა, დიდი ძალისხმევა გამოიჩინა ეპიდემიის მიერ ამოწყვეტილი ეთიოპიელების ავლა-დიდების დასაპატრონებლად<sup>6</sup>. ბერძნები თავს ბიზანტიელების შთამომავლებად თვლიდნენ და პრეტენზიას აცხადებდნენ ყველა მცირემრევლიან აღმოსავლურ ეკლესიაზე. 1645 წელს ახლად არჩეულმა ბერძენთა პატრიარქმა, პაისიოსმა, ოფიციალური თხოვნით მიმართა ოტომანთა მთავრობას, მისი იურისდიქციისათვის დაექვემდებარებინა კოპტთა, სერბთა და ქართველთა იერუსალიმური სათვისტომოები; მან ეს უფლება ოთხი წლის შემდეგ მკვლევ მეოთხისაგან მიიღო. სომხურმა ეკლესიამ ვერ აიტანა ასეთი შეურაცხყოფა და შეეცადა, აღედგინა მკვლევ მეორის მიერ 1461 წლის ზემოაღნიშნული ფირმანით მისთვის მინიჭებული იურისდიქცია „მართლმადიდებელ მონოფიზიტებზე“, რაც მას რამდენიმე წლის შემდეგ, სხვადასხვა ბიუროკრატიული სირთულის გადალახვის შედეგად დაუმტკიცდა<sup>7</sup>. ასე გააერთიანეს ქართველები სომხურ მილეთში, თუმცა, ცნობილია ის ხანმოკლე პერიოდებიც, როდესაც ეკუმენიური საპატრიარქო მათ დაქვემდებარებას შეეცადა.

რაც შეეხება ქართველ კათოლიკეებს, მათი ისტორია XIX საუკუნის დამდეგიდან იწყება. ამ პერიოდში ისინი მიეკუთვნებოდნენ კონსტანტინოპოლის ლათინურ ეკლესიას, მანამდე მათი უდიდესი ცენტრი საქართველოს ძველი დედაქალაქი, მცხეთა, იყო, ვიდრე 1801 წელს, რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ,

<sup>4</sup> A. Raymond, *Les provinces arabes (XVI<sup>e</sup>-XVIII<sup>e</sup> siècle)*, წგნ. R. Mantran, *Histoire de l'Empire Ottoman*, Paris, 1989, გვ. 395.

<sup>5</sup> O. Peri, დასახ. ნაშრ., გვ. 162.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 121.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 122-123.

მისმა მრევლმა მასობრივად არ მიაშურა ოტომანთა იმპერიას. დიდი იყო ახალციხიდან ჩამოსულ ქართველთა რიცხვიც. წარმოშობით ახალციხელი იყო, მაგალითად, მამა პეტრე ხარისჭირაშვილი, რომელმაც კონსტანტინოპოლში, ფერიქი-ბომონტის ზონაში, ერთი ეკლესია და ერთი მონასტერი დაარსა, საამისოდ საჭირო ნებართვა კი სულთანისაგან მიიღო საფრანგეთის საელჩოს შუამდგომლობით.

1861 წელს მამა ხარისჭირაშვილმა გახსნა სასულიერო სემინარია, რომლის სრული აკადემიური კურსი ხუთწლიან პროგრამას ითვალისწინებდა, პირველადი საღვთისმეტყველო განათლების მიღების მსურველთათვის კი აქ 1870-1871 წლებში სამორჩილოც ამოქმედდა<sup>1</sup>. 1861-1914 წლებში სემინარიამ საქართველოდან ჩამოსულ შვიდასამდე სტუდენტს უმასპინძლა. კურსადამათავრებულნი საქართველოში ბრუნდებოდნენ, ანდა, თუ მღვდლობას ისურვებდნენ, სწავლას საფრანგეთში ან იტალიაში განაგრძობდნენ. 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამ შეუძლებელი გახადა ახალგაზრდების ჩასვლა საქართველოდან და სემინარიაც დაიხურა<sup>2</sup>.

1870 წელს ბეიოლუში, კორდელია პაპაზკოპრუსუს ქუჩაზე, მამა პეტრე ხარისჭირაშვილმა წმინდა იოსების სახელობის დაწესებითი ხუთწლიანი დააარსა. მოსწავლეები ბერძნები იყვნენ. ამ სკოლასაც საფრანგეთი უწევდა მფარველობას და, ამდენად, მასში ქართულის გარდა, ფრანგული ენაც ისწავლებოდა. სკოლაში მოღვაწე რვა პედაგოგს შორის ოთხი საერო პირი იყო, ოთხი – სასულიერო. მოსწავლეთა ყველაზე მაღალმა რიცხვმა 250 შეადგინა. 1914 წელს სკოლა დაიხურა<sup>3</sup>.

მამა პეტრე ხარისჭირაშვილმა ბომონტში დააარსა ლურდის ღვთისმშობლის სახელობის გოგონათა დაწესებითი ფრანგული სასწავლებელი, სადაც მოქმედებდა საბავშვო ბაღი, ინტერნატი და სკოლა მოსწავლეთათვის, რომლებიც ინტერნატში არ ცხოვრობდნენ. პედაგოგები სასულიერო პირები იყვნენ. ზემოაღნიშნულ ორ სკოლასთან შედარებით, ამ დაწესებულებამ უფრო დიდხანს იარსება<sup>4</sup>.

<sup>1</sup> F. Çiloğlu, *Gürcülerin Tarihi*, İstanbul, 1993, გვ. 87.

<sup>2</sup> N. Polvan, *Türkiye 'de yabancı öğretim*, 1, İstanbul, 1952, გვ. 213.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 214.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 214-215.

1870 წელს ქართველთა კათოლიკურმა ეკლესიამ ქართული სტამბა გამართა და ქართული წიგნების ბეჭდვა დაიწყო. ამავე დროს, ეკლესია ქართული ლიტერატურისა და საერთოდ, კულტურის; უმნიშვნელოვანეს ცენტრად გადაიქცა.

1921 წელს საქართველოში ბოლშევიკური ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ, კონსტანტინოპოლს მიაშურა დამარცხებული და ქვეყნიდან გაძევებული მენშევიკური მთავრობის უდიდესმა ნაწილმა, რომელმაც ეკლესიის სტამბა ოპოზიციურ პუბლიკაციათა გამოსაქვეყნებლად გამოიყენა. მაგალითად, 1921 წლის 15 მაისიდან 1922 წლის 15 ოქტომბრამდე აქ გამოიცა გაზეთ „თავისუფალი საქართველოს“ 27 ნომერი<sup>1</sup>.

აღსანიშნავია, ასევე, ქართველ ებრაელთა მცირერიცხოვანი ჯგუფი. 1920-1921 წლებში კონსტანტინოპოლს, დაახლოებით, 2 ათასი ქართველი ებრაელი ეწვია. მათ ბეიოლუში სინაგოგა დააარსეს. მათი უდიდესი ნაწილი ცხოვრობდა ულუსის უბანში, სადაც სასაფლაოს სტელებზე დღემდე არის ქართული წარწერები<sup>2</sup>.

ჩვენი სტატიის ბოლოს შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართველებს არ ჰქონიათ სპეციალური ლეგალური სტატუსი ოტომანთა იმპერიაში. რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართული მართლმადიდებლური ეკლესია დამოკიდებული იყო ბერძნულ ან სომხურ ეკლესიებზე. კათოლიციზმი კი – ლათინურ ეკლესიაზე, ხოლო ქართველი-ებრაელები მიეკუთვნებოდნენ ებრაულ მილეთს.

ელეტრა ერკოლინო (რომი)

<sup>1</sup> F. Çiloğlu, დასახ. ნაშრ., გვ. 89.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 90.

### 306ზრიდ ბოედერისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კრებული\*



ჩვენ ხელთა გვაქვს ცნობილი გერმანელი ენათმეცნიერი, ქართველოლოგ-კავკასიოლოგის, ვინფრიდ ბოედერის 65 წლის-თავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო შრომების კრებული „ფილოლოგია, ტიპოლოგია და ენის სტრუქტურა“, რომელიც გამომცემლობა „პეტერ ლანგის“ მიერ გამოიცა გერმანიაში, ვოლფრამ ბუბლიცის, მანფრედ ფონ რონკადორისა და ჰაინც

ფატერის რედაქტორობით. კრებული სამენოვანია, სტატიები ქვეყნდება გერმანულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე. ეს კრებული ცხადია, წარმოადგენს ვინფრიდ ბოედერის სამეცნიერო მოღვაწეობის აღიარებასა და დაფასებას. ჩვენთვის კი განსაკუთრებით საყურადღებოა მისი ქართველოლოგიური საქმიანობა. ოლდენბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა 1969 წლიდან მოყოლებული არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი შექმნა ქართველოლოგიის სფეროში (ბიბლიოგრაფია და სტატია „ვინფრიდ ბოედერი-65“ იხილეთ ჟურნალ „ქართველოლოგის“ მე-8 ნომერში). სწორედ ამ დამსახურებისათვის ვინფრიდ ბოედერს 2002 წელს ქართველოლოგიური სკოლის ცენტრის მიერ მიენიჭა უცხოელ ქართველოლოგთათვის დაწესებული მარი ბროსეს სახელობის

\*Philology, Typology and Language Structure. (Festschrift for Winfried Boeder on the Occasion of his 65th Birthday). Edited by Wolfram Bublitz, Manfred von Roncador and Heinz Vater. "Peter Lang", Frankfurt an Main. Berlin. Bern. Bruxelles. New York. Oxford. Wien. 2002.

პრემია. წინამდებარე კრებულში ქართველოლოგიას და ქართველ მეცნიერთა შრომებს სათანადო ყურადღება ეთმობა. აქ წარმოდგენილია თამაზ გამყრელიძის სტატია „ქრისტიანობა და ძველი ქართული კულტურა“, ელგუჯა ხინთიბიძის – „ახალი თეორია ქართველთა სახელწოდებების ეტიმოლოგიის შესახებ“, დონალდ რეიფილდის „გალენი, ავიცენა და შუასაუკუნეების ქართული ფარმაკოლოგია“, შუქია აფრიდონიძის „ბავშვთა ლექსიკა და საკუთარ სახელთა კინოობით-ალერსობითი ფორმები თანამედროვე ქართულში“, იოსტ გიპერტის „ქართულ ზმნათა უღლების რამდენიმე საყურადღებო ელემენტი“, აღისა ჰარისის „მარამოებელ პრეფიქს-სუფიქსთა წარმომავლობისათვის ქართველურ ენებში“, კარლ ჰორსტ შმიდტის „ძველქართული მორფოლოგიისა და სინტაქსის რამდენიმე მახასიათებლის ენათმეცნიერული ინტერპრეტაცია“, გურამ თოფურიას „ორფუძიანი ბრუნების საკითხები სვანურში“, კევინ ტუიტის „დეკონენტური ზმნები ქართულში“, ჰაინც ფატერის „ნომინალური ფრაზების სტრუქტურა ქართულსა და გერმანულში“. ქართველოლოგიის პრობლემებისა და ქართველ მეცნიერთა შრომების ამდენად ფართო სპექტრი ცხადყოფს, ერთი მხრივ, ამ დისციპლინის მნიშვნელობას თავად ვინფრიდ ბოედერის მოღვაწეობაში, მეორე მხრივ კი ქართული ენისა და კულტურის შესწავლის აქტუალობას თანამედროვე ევროპულ სამეცნიერო წრეებში. ქართველ მეცნიერთა შრომებში ვხვდებით როგორც ახალ თეორიებს (იხ. ე. ხინთიბიძის წერილი, რომელშიც ქართველთა აღმნიშვნელი ტერმინების ახლებური ეტიმოლოგიური წაკითხვაა შემოთავაზებული), ისე ქართველურ ენათა სტრუქტურების დრმა ლინგვისტურ ანალიზს. მაგალითად, გურამ თოფურია განიხილავს სვანური ბრუნვის ფორმათა პარადიგმატულ ურთიერთკავშირებს. შუქია აფრიდონიძე – ქართულში ბავშვთა ლექსიკის ფონემატურ შედგენილობასა და მორფოლოგიურ სტრუქტურას. თამაზ გამყრელიძის სტატიაში კი ლინგვისტური კავშირები ქრისტიანობისა და ძველი ქართული კულტურის მიმართებას წარმოაჩენს. ევროპულ და ქართველ მეცნიერთა ქართველოლოგიური ნაშრომები, რომლებიც კრებულშია წარმოდგენილი, გარკვეული თვალსაზრისით ეხმიანება თავად ვინფრიდ ბოედერის ნაშრომებს. როგორც წიგნის რედაქტორები აღნიშნავენ, ქართული ენა წარმოადგენს ვინფრიდ ბოედერის განსაკუთრებული მეცნიერული ინტერესის საგანს და სწორედ ამიტომ გვთავაზობენ ავტორიტეტულ მეცნიერთა სტატიებს,

ქართულის კვლევის სინქრონულ და დიაქრონულ ჭრილში. ზოგადი თვალსაზრისით კი კრებულში შეტანილი ნაშრომები სამ განსხვავებულ, მაგრამ მონათესავე არეალს მოიცავს: ფილოლოგია (ლინგვისტური და კულტურული თვალსაზრისით), ენის ტიპოლოგია და ენის სტრუქტურა (კომპარატიული ანალიზის ჩათვლით). წიგნის რედაქტორთა განცხადებით, მათი ამგვარი არჩევანი განაპირობა ვინფრიდ ბოედერის წვლილმა ზოგადი და შედარებითი ენათმეცნიერების განვითარებაში.

ამდენად, წიგნის თემატიკა საკმაოდ მრავალფეროვანია. ვოლფრამ ბუბლიცი განიხილავს ტექსტის პროსოდის, ფლორიან პენიცი – ინგლისურ-გერმანული თარგმანის პრობლემებს, გუნტერ რადენი – ენის ხალხურ მოდელებს, თომას ბერგი – ინგლისური წინადადების სტრუქტურის ისტორიულ განვითარებას, ვლადიმერ ნედიალკოვი – პრედიკატთა ტიპებს, ფრანც პლანკი – ალბანური ენის პრობლემებს, ვერნერ აბრაჰამი – გერმანული ზმნის თავისებურებებს, კლაუდიო დი მეოლა – პრეპოზიციულ სახეობებსა და ფრაზებს. კავკასიური ენების პრობლემებს ეხება ჯორჯ პიუიტისა და ზაირა ხიბას, კრისტოფ შროედერის, ვოლფგანგ შულცის, ბერნარ კომრიეს სტატიები.

ვინფრიდ ბოედერისადმი მიძღვნილი კრებული წარმოაჩენს ფილოლოგიის, ტიპოლოგიისა და ენის სტრუქტურის კვლევის თანამედროვე დონეს, აქტუალურ პრობლემებს და თავის მხრივ ხელს უწყობს ამ მიმართულებით მეცნიერული აზრის შემდგომ განვითარებასა და ინტეგრირებას.

### ბელა წიფურია

## ახალი თეორია ქართველთა სახელწოდებების ეტიმოლოგიის შესახებ

სტატია გამოქვეყნებულია ინგლისურ ენაზე ვინფრიდ ბოედერის დაბადებიდან 65 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კრებულში: "Philology, Typology and Language Structure", PETEP LANG, Frankfurt am Main, Berlin. Bern. Bruxelles. New York. Oxford. Wien, 2002, p. 65-69. ქართული თარგმანი შესრულებულია ავტორის მიერ.

არასწორი უნდა იყოს ქართველთა ევროპული სახელწოდების – Georgia პოპულარული ეტიმოლოგიები, კერძოდ: ა) მისი სემანტიკური დაკავშირება ბერძნულ და ლათინურ სიტყვებთან (γεωργός – მიწისმოქმედი და georgicus – სამიწათმოქმედო) და ბ) მისი წარმომავლობა წმ. გიორგის სახელიდან. იგი ალბათ მომდინარეობს ქართველთა სპარსულ-არაბული სახელწოდებიდან (gurğ, ġurğ), რომელიც შემდგომში დამსგავსებია ზემოთ მითითებულ ბერძნულ-ლათინურ ფუძეს. უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი გეორგია ლათინურ სამყაროში გამოჩენის დასაწყის ეტაპზე არ იწერება ერთი და იმავე ტრანსკრიფციით. პირველი თანხმოვანი აღინიშნება ხან J (Jorgia), ხან Ge (Georgia), ხან Gi (Giorgia) ასოებით. აქედან გამომდინარე ვფიქრობთ, სამართლიანადაა შენიშნული, რომ იტალიურ სამყაროს, სადაც ეს დაწერილობა თავდაპირველად გამოჩნდა, ამ ტოპონიმის პირველ ბგერად „ჯ“ თანხმოვანი ესმის და მის გადმოცემას ცდილობს, რაც ამ სახელის აშკარად აღმოსავლურიდან, უპირატესად არაბულიდან მომდინარეობას მიუთითებს.<sup>1</sup> საქართველოს რუსული სახელწოდება (Грузия) ასევე მომდინარეობს სპარსული gurğ-იდან სირიულ-არაბული გზით (gurz-ān //gurz-iyān). Грузин და Грузия Gurzi-დან მომდინარე ფორმაა. ეს უკანასკნელი იყო დამკვიდრებული ქართველთა სახელწოდებად რუსულ ქრონიკებში ჯერ კიდევ მე-14 საუკუნეში.

<sup>1</sup> ს. ჯანაშია, შრომები, III, იბ., 1959, გვ. 226-227.

ქართველთა ახალ სპარსულ ენაზე გავრცელებული სახელწოდებაა *gurğ* და *gurğān*, რომელიც მომდინარეობს ძველ ირანული და საშუალო სპარსული სახელწოდებებიდან (*vrkān*, *waručan*) და მათი უფრო გვიანდელი ბერძნული ვარიანტიდან (*Υρχαυα*), ემთხვევა აღმოსავლურ წყაროებში დადასტურებულ კასპიის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ძველი გურგანის *provinciis saxel wodebebs!* ქართველთა ეთნონიმი ძველ სომხურში (*veria*, *virik*) მომდინარეობს იმავე ფუძიდან.

ერთი და იმავე ხალხის სხვადასხვა ეპოქაში თუ სხვადასხვა წყაროებით დადასტურებულ განსხვავებულ ეთნონიმთა ურთიერთობების ასახსნელად წინამდებარე გამოკვლევა ფართოდ ემყარება ზოგადი ფონეტიკის პრინციპებით აღიარებულ პომორგანული ხშული თანხმოვნების სამეულთა წევრების (*ბ-ფ-ჰ, გ-ქ-ჯ*) და ლაბიალური და სონორული ბგერების (*ბ-ფ; რ-ლ*) შესაძლებელ მონაცვლეობას (გ. ახვლედიანი); გეოგრაფიული სახელების მაწარმოებელ სუფიქსთა შესატყვისობების გამოვლენის ცალკეულ შემთხვევებს, ერთი მხრივ ქართულსა და სომხურ (ა. შანიძე) და მეორე მხრივ ქართულსა და ზანურ (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი) ენებში; ინდოევროპულ ენათა ზოგიერთი ფუძის აგებულებისა და ვარიაციული ცვლილებების დადგენას (თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი).

ჩემი აზრით, იმავე ძველ ირანულ სახელწოდებასთან (*vrkān*) დაკავშირებული ეთნონიმების ჯგუფში უნდა განვიხილოთ ტერმინი *იბერია*, და არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი უძველეს პარალელურ ტექსტებში ქართლის ამ ინდოევროპული ძირიდან ნაწარმოებ საშუალო სპარსული და პართული სახელწოდებების ბერძნულ მონაცვლელ გვევლინება, არამედ შემდეგ გარემოებათა გამოც:

1. ტერმინში *იბერია*, როგორც ამას ნ. მარი<sup>2</sup> და შემდგომ გ. დეეტერსის<sup>3</sup> ვარაუდობდნენ, თავიკიდური „ი“ მაწარმოებელია, ხოლო ძირია *ბერ*. ამას ასაბუთებს ის გარემოება, რომ სწორედ

<sup>1</sup> გ. წერეთელი, საქართველოს ირანულ სახელწოდებათა ისტორიისათვის. - „საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია“, თბ., 1994, გვ. 102-103.

<sup>2</sup> H. Mapp, *Избранные работы*, т. V, Лен., 1935, ст. 189.

<sup>3</sup> G. Deeters, *Der Name der Kaukasischen Iberer*. - „Μνήμη Χαρίτ. Festschrift P. Kretschmer“, Vol. 1 (ed. O. Harrassowitz), Wiesbaden und Wien, 1956, p. 85-86.

*ბერ* ძირიდან ნაწარმოები ეთნონიმები დასტურდება ქართველთა უძველეს სახელწოდებებად: *ბერ* - ქართველთა უძველესი საცხოვრისის სახელია კახეთში („ბერ ერქვა პირველ შენებულსა კახეთისასა“ - ლეონტი მროველი); *ბერ-ანები*, ანტიკური წყაროების მიხედვით, იბერთა გვერდით მცხოვრები ტომის სახელია (იპოლიტე რომაელი); *ბერ* ძირი დაცულია ქართველური ტომის *სპერის* სახელში, რომელიც ანტიკურ წყაროებში *სასპერების* სახელით მოიხსენიება (პეროდოტე, ქსენოფონტე, აპოლონიოს როდოსელი, სტრაბონი); *ბერ/ვერ* ძირიდანაა ნაწარმოები ქართლის ძველი სომხური სახელწოდებები: *ვერია*, *ვირქ*.

2. ინდოევროპულ ენათა ოჯახში *uel* (*vel*) ძირი აღდგება მგლის აღმნიშვნელ საწყის ძირად. *ul* (*uel*) ძირზე - *k<sup>h</sup>ul* - სუფიქსის დართვით არის მიღებული ძველი ინდური *vi.kah*, რაც ამოსავალი ფუძეა ძველი ირანულიდან მომდინარე ქართველთა ეთნონიმების ჯგუფისა. როგორც ჩანს, ქართველთა ყველა სახელწოდება, რომელიც ამ ტოტემური სახელიდან იღებს სათავეს, ძველი ირანულის გზით არაა ნაწარმოები. ამას ადასტურებს ძველი სომხური *ვერ-ია* და *ვირ-ქ*, რომლებიც უშუალოდ უკავშირდებიან *uel* ძირს. ვფიქრობ, რომ იმავე *uel* ძირის მონაცვლე უნდა იყოს *იბერია* ეთნონიმში და დადასტურებული *ბერ* ძირიც.

ძველი სპარსული *vr.k-ān* (*vark-ān*) ახალ სპარსულში შეიცვალა *gurğ-ān*-ად, *vark* ძირის ბოლოკიდური *k*-ს შეცვლა *č*-დ (*varč-ān*), რაც შემდეგ გვაძლევს *g*-ს (*gurč-an*, *gurğ-an*), ეთნიკური სახელების მაწარმოებელი (*i*)*ya* სუფიქსის წინ, კანონზომიერი ფონეტიკური მოვლენაა პროტოარიული და ძველი სპარსული ენების სიტყვათწარმოებისათვის.<sup>1</sup> რაც შეეხება თავიკიდური *v/g*-ს შენაცვლებას, იგი აიხსნება სპარსული ენის სხვადასხვა დიალექტური ფორმის მონაცვლეობით. შენიშნულია, რომ ფარსის ტომის შერევით სპარსეთში მანამდე დამკვიდრებულ მოსახლეობასთან „შეიცვალა ტერმინი *vehrek* (*vrk*) წმინდა სპარსულ *ვორგ-ად*“.<sup>2</sup> დადგენილია, რომ ძველი სპარსულის „*v*“ გვიანდელ საშუალო სპარსულში გვაძლევს „*g*“-ს; ხოლო ძველი ირანული „*r*“ გადადის „*ur*“ ში.<sup>3</sup>

<sup>1</sup> გ. წერეთელი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 103; იუსტ. აბულაძე, ტერმინ *გურჯის* ეტიმოლოგიისათვის. - „მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის“ (აკად. ნ. შარისაძემ მიძღვნილი კრებული), თბ., 1934, გვ. 296.

<sup>2</sup> იუსტ. აბულაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 295.

<sup>3</sup> თ. ჩხეიძე, საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი ტერმინები საშუალო სპარსულსა და პართულ ენებში. - „საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი ... ტერმინოლოგია“, გვ. 113.

ჩემი აზრით, ქართველთა ზემოთმითითებულ ეთნონიმთა წრეს უკავშირდება ქართველთა თვითსახელწოდებაც, რომელიც ქართ ფუძისაგან იწარმოება (*ქართლი*, *ქართველი*). იგი მე მიმანინია ქართველთა ქვეყნის ძველირანული, საშუალო და ახალსპარსული სახელწოდებების (*vark-ān*, *waruč-ān*, *gurg-ān*) პარალელურ ენობრივ ფორმად. ქართ ფუძის ქარ სეგმენტის მიმართება ზემოთმითითებულ ეთნონიმებთან და მათ ძველირანურ საწყის ფორმასთან – *vr.kah* (ახალი სპარსული *gurg*) დადგენილი ენობრივი კანონზომიერებით აიხსნება (*ვრ=ქრ*). ასახსნელია ქართ ფუძის ბოლოკიდური „თ“ თანხმოვნის წარმომავლობა. ქართ ფუძის ახსნის ჩემს მიერ ნავარაუდვეი შესაძლებლობა ამგვარია: ქართ-ის ბოლოკიდური „თ“ უნდა იყოს ქარ ძირზე დართული გეოგრაფიული სახელების მაწარმოებელი „ეთ“, ან ნაგენეტივარი წარმოების „თა“ ქართული სუფიქსების ნაშთი.<sup>1</sup> ქართ ეთნონიმში ქარ ძირის გამოყოფის სასარგებლოდ მეტყველებს რამდენიმე გარემოება:

1. ინდოევროპულ ენათა ოჯახში „მგლის“ აღმნიშვნელ საწყის ძირად აღდგება *uel* ძირი.<sup>2</sup> მას დაერთვის სუფიქსები -*k<sup>h</sup>o-* და -*o<sup>h</sup>l-*. სწორედ -*k<sup>h</sup>o-* სუფიქსის დართვით ულ(უელ) ძირზე არის მიღებული ძველი ინდური *vr.kah*, რაც ამოსავალი ფუძეა ძველირანულიდან მომდინარე ქართველთა ზემოთმითითებულ ეთნონიმთა ჯგუფისა. თუ დავუშვებთ, რომ ქართ ლექსემაში ძირეულია ქარ, მაშინ გამოდის, რომ დასახელებული ინდოევროპული ძირის (*vr.*) კანონზომიერად მონაცვლე ქარ სეგმენტს ნაცვლად ინდოევროპული -*k<sup>h</sup>o-* სუფიქსისა ერთვის ტომობრივი და ეთნიკური სახელებიდან გეოგრაფიული სახელების მაწარმოებელი ყველაზე არქაული ქართული –*ეთ* სუფიქსი (*პერ-ეთ-ი*, *ოვს-ეთ-ი*, *კახ-ეთ-ი*, *კუხ-ეთ-ი*), ან, რაც არ არის გამორიცხული, გეოგრაფიული სახელების ნაგენეტივარი წარმოების –*თა* სუფიქსი (*გოგოლაურ-თა*, *ჩხიკე-თა*, *გურიან-თა*). ამ სუფიქსის შემდგომი შეკუმშვის (ან შეკვეცის) შედეგად ვიღებთ ქართ ფუძეს. ამ შემთხვევაში ქართ ეთნონიმის ფორმირება ძველირანული *vr.* ძირისაგან (რომელიც ახალ სპარსულში შეიცვალა *გურად*) დამოუკიდებლად უნდა ვიგულოვოთ

და არა ძველი ირანულიდან ახალ სპარსულზე გარდამავალ ეთნონიმთა რიგში (*vr.kān*, *waručān*, *gurgān*).

2. ქარ-ეთ ეთნონიმის მსგავსი კონსტრუქციისა ჩანს ქართლის ძველი სომხური სახელი ვირ-ქ, რომელშიც ვირ ძირია, ზემოთმითითებული ინდოევროპული *vr.* კომპლექსიდან მომდინარე, ხოლო „ქ“ უნდა იყოს მრავლობითობის მაწარმოებელი სუფიქსი. როგორც შენიშნულია, ქართული გეოგრაფიული სახელების მაწარმოებელი „-ეთ“ სუფიქსს სომხურში მრავლობითობის „-ქ“ შეესატყვისება.<sup>3</sup>

3. ქართლის ტერიტორიაზე დასტურდება ქარ ძირიდან ნაწარმოები ტოპონიმების არსებობა (*ქარ-ელი*), რაც ქართ ფუძეში ძირისა და სუფიქსის (*ქარ-ეთ*) გამოყოფას გვაფარაუდებინებს.

4. ქართველთა თვითსახელწოდებების კიდევ ორი სახელი *ვ-გურ-ი/ვ-გურ-ი* (=ვერისი) და *გურ-ია* ამყარებს მიმართებას მგლის ტოტემური სახელის ან ქართველურ ენებში დადასტურებულ ფორმასთან *გურ-ი*, ან ინდოევროპულ *გურგ* ფუძესთან. მხოლოდ ამ უკანასკნელ შემთხვევაში ბოლოკიდური სუფიქსისეული თანხმოვნის მოკვეციტ.

ეთნონიმი \*ქარეთი გვაძლევს ქართ ფუძეს „ე“ ხმოვნის შეკუმშვით, რასაც იწვევს მასზე წარმომავლობის –*ელ* სუფიქსის და გეოგრაფიულ სახელთა –*ვე* ან –*ავ* სუფიქსების დართვა. როგორც ვარაუდობენ<sup>4</sup>, ქართ ფუძისაგან ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მიღებული ქართველი და ქართლი: \*ქართ-ვე-ელ-ი//\*ქართ-ავ-ელ-ი>ქართ-ვე-ელ-ი; \*ქართ-ელ-ი>ქართლ-ი. ამ უკანასკნელ ვარაუდს მხარს უჭერს მეგრული და ლაზური ქორთუ (*ქორთ-უ=ქართ-ელ*); მეგრულ-ლაზური ქორთ ქართული ქართ-ის კანონზომიერი შესატყვისია; ხოლო, როგორც შენიშნულია<sup>5</sup>, ზანური „-უ“ ქართული „-ელ“ სუფიქსის მონაცვლეა.

ძველი სპარსული *vrkān*-ის და მისგან მომდინარე საშუალო

<sup>1</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953, გვ. 140.

<sup>2</sup> გ. ბურჭულაძე, ქართველ – სიტყვის წარმომავლობისათვის. – „მესამე საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები“, თბ., 1999, გვ. 128.

<sup>3</sup> თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965, გვ. 89-93.

<sup>4</sup> სუფიქსური წარმოების შესახებ ქართულში იხ. W. Boeder, Suffixaufnahme in Kartvelian. - "Double Case. Agreement by Suffixaufnahme" (ed. F. Plank), Oxford, 1995.

<sup>5</sup> Т. Гамкрелидзе, В. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, т. II, Тб., 1984, стр. 492

სპარსული, პართული და ახალი სპარსული გეოგრაფიული სახელების – *waruān*, *wirgān-gurgān* – ეტიმოლოგია ცნობილია. *varkān*, რომელიც მომდინარეობს ძველი ინდური *vr.kah*=მგელიდან, ნიშნავს „მგლების ქვეყანას“. მგლის აღმნიშვნელი ტოტემური სახელი ბევრ ძველ ხალხთა შორის ეთნონიმად იქცა. ქართველთა უძველესი რელიგიური მითოლოგიური წარმოდგენებით, მგელი არის ტოტემი, უძველესი მითური წინაპარი და მფარველი ტომისა. ამ წარმოდგენის ნაშთი ჩანს ისტორიულ წყაროებშიც, ქართველურ ტომთა ძველ ტრადიციებშიც, უძველესი საწესო-გრაფიკული ხელოვნების ჩვენამდე შემონახულ ნიმუშებშიც<sup>1</sup>.

უფრო დეტალურად ანალიზი აქ წარმოდგენილი ახალი პიპოტეზისა ქართველთა სახელწოდებების ეტიმოლოგიის თაობაზე – ამ სახელწოდებების მოაზრება ისტორიულ კონტექსტში, ახსნა არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით, ისევე როგორც *br* და *gr* კომპლექსების მონაცვლეობის დადასტურება ინდოევროპელ ხალხთა სხვა ეთნონიმებში – მკითხველს შეუძლია იხილოს ამ პრობლემისადმი მიძღვნილ ჩემს მონოგრაფიაში, რომელიც გამოქვეყნებულია როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე<sup>2</sup>.

ელგუჯა ხინთიბიძე

გამომცემლები: ელგუჯა ხინთიბიძე (რედაქტორი)

არიანე ჭანტურია

საპატიო სარედაქციო კოლეგია:

ვინფრიდ ბოედერი (გერმანია)

ბერნარ უტიე (საფრანგეთი)

ლუიჯი მაგაროტო (იტალია)

შტეფი ხოტივარი-იუნგერი (გერმანია)

© „ქართველოლოგი“

ქართველოლოგიური სკოლის ფონდი

ს, ჭავჭავაძის პროსპექტი, თსუ

380028, თბილისი

ტელ: 2908333; ფაქსი: 252501

სურათები:

გვ. 22 - წმ. კატერინას მონასტერი

გვ. 78 - ვინფრიდ ბოედერი

<sup>1</sup> В. Баравелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957, стр. 37–53.

<sup>2</sup> ე. ხინთიბიძე, ქართველთა სახელწოდებები და მათი ეტიმოლოგია, თბ., 1998.

საგამომცემლო ჯგუფი: ირინა ჯავახაძე  
ასმათ ჯაფარიძე

